დანართი №.2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

შპს ,,სკოლა ახალი თაობა,,

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ჯაში - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

ნინო შიუკაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ნინო ფსუტური- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ხათუნა ქერაშვილი- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

თამთა პეტრიაშვილი- უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ხათუნა ჯიმშიაშვილი- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

მზია დადვანი- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

გიორგი ჩაჩუა -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

მაკა ნატროშვილი- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;

ლეილა ხელისუფალი- ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სკოლა ახალი თაობა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	406242123

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ბეჟან კალანდაძის ქ. N3
საფოსტო ინდექსი	0148
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.axalitaoba.ge

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	skolaaxalitaoba@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591 05 65 60

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანება MES 1 24 0000189408, 21/02/2024წ. - „ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს სკოლა ახალ თაობაში ვიზიტის შესახებ“.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	13 და 14 მარტი, 2024წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-

				ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	ქ. თბილისი, ბეჟან კალანდაძის ქ. N3
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული ენა	ქ. თბილისი, ბეჟან კალანდაძის ქ. N3
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო - X-XII კლასები.	ქართული ენა	ქ. თბილისი, ბეჟან კალანდაძის ქ. N3

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

შპს ,,სკოლა ახალი თაობაში,, ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუირების პროცესი სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, თანამშრომელთა პირადი საქმეები და სხვა დოკუმენტაცია. განხორციელდა სკოლების მართვის საინფორმაციო სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა მოწოდებული დოკუმენტაცია, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს. სკოლის მოსწავლეებთან და მშობლებთან ექსპერტების კომუნიკაციამ კიდევ უფრო ნათელი გახადა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
425	322	470

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

არაფორმალური განათლება შპს ,,სკოლა ახალი თაობის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სკოლაში ფუნქციონირებს მათემატიკის საშაბათო სკოლა, ასევე, მენტალური არითმეტიკის პროგრამა - 1-6 კლასელი მოსწავლეებისათვის. დაწესებულებაში აქცენტი კეთდება უცხოური ენების სწავლებაზეც - ინგლისური ენის გარდა, მოსწავლეებს სთავაზობენ რუსულ, ფრანგულ, და გერმანულ ენებს. სკოლაში ფუნქციონერებს ჩინური და თურქული ენების უფასო წრეებიც.
მამოტივირებელია სკოლის ფიზიკური გარემო, განსაკუთრებით, დაწყებით საფეხურზე. კომფორტული ინფრასტრუქტურა, ფერადი კედლები, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები - სასწავლო პროცესს სახალისოს და საინტერესოს ხდის.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1	☒ შეესაბამება

პერსონალის მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	☒	

მოსწავლეთა რაოდენობა: 470	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტების ჯგუფმა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა სრული შესაბამისობით.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*

ინდიკატორი N1.1.1.4	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;*	*სკოლას მიეცა რჩევა - გაზარდოს მოსწავლეთა თანამონაწილეობის წილი სკოლის ფილოსოფიის შედგენის/გაზიარების პროცესში, რაც საშუალებას მისცემდა მათ აქტიურად ჩართულიყვნენ სასკოლო ცხოვრებაში და მიკუთვნებულობის განცდას გაუღვივებდა სკოლისა და მასში მიმდინარე პროცესების მიმართ.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.2.3.	*სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცი საჯაროდაა ხელმისაწვდომი;*	*მნიშვნელოვანია დაწესებულებამ მომსახურების სახეების, მათ შორის, მოსწავლეთათვის არჩევითი საგნების შეთავაზებისას, უზრუნველყოს მათი მაღალი ჩართულობა.*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	***სახელმწიფო ენა*** *_ დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში ზოგან შეიმჩნეოდა თემებისა და საკითხების ურთიერთმიმართებაში ბუნდოვანება, ასევე კონტექსტ-მაგალითების შეუსაბამობა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ამიტომ ინტერვიუს დროს პედაგოგებს მიეცათ რჩევები აღნიშნულთან დაკავშირებით;* ***მე და საზოგადოება*** *__ /// კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „პიროვნება“ და „ცვლილება“;* ***ჩვენი საქართველო*** *___ IV კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში ა მუშავდება სამიზნე ცნებები: „საზოგადოება“ და „ცვლილება“.* *მეორე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „პიროვნება“ და „ცვლილება“.* *მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სასურველია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს. კურიკულუმების მიხედვით, მესამე კლასში დაგეგმილია 26 კომპლექსური დავალება, მეოთხეში კი 20, რა არარეალისტურია. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული უნდა იყოს*

		მხოლოდ იმ კომპლექსური დავალების იდეები, რომელსაც რეალურად განახორციელებს მასწავლებელი. ***ჩვენი საქართველო*** __ *V კლასის კურიკულუმში, პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე (არცერთ) თემებში არ მუშავდება სამიზნე ცნება „სახელმწიფო“.* *VI კლასის კურიკულუმში, მეოთხე თემაში - გურია, არ მუშავდება სამიზნე ცნება „ სახელმწიფო“.* *მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სასურველია,, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს.* *მეხუთე კლასის კურიკულუმში, კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც მოცემულია თემა „სვანეთი“ - ის შესახებ საჭიროებს დაზუსტებას, რადგან არ ჩანს რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა.* *VI კლასის კურიკულუმში არ არის მითითებული ქვეცნებები, რომლებიც დამუშავდება მოცემული საკითხით/საკითხთა კლასტერით, ან კომპლექსურ დავალებებით.* *VI კლასის კურიკულუმში, კომპლექსური დავალების იდეები, რომლებიც მოცემულია თემებზე - „გურია“, „რაჭა-ლეჩხუმი“, „აფხაზეთი“, „სახელმწიფო-ჩვენი საქართველო“, საჭიროებს დაზუსტებას, რადგან არ ჩანს*

		რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა. მინი ლექცია, ან გურულ კრიმანჭულზე მსჯელობა არ არის კომპლექსური დავალების იდეა. *V კლასში დაგეგმილია 6 კომპლექსური დავალება, VI კი 9. მოცემული რაოდენობის კომპლექსური დავალებების დამუშავება დროში შესაძლებელია სირთულეს წარმოადგენდეს. ამიტომ, უმჯობესია , მოხდეს კურიკულუმის განტვირთვა, რაც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს თავადვე დაადასტურეს.* ***მათემატიკა*** *__ სასურველია, სკოლას გამიჯნულად ჰყავდეს მათემატიკის საგნობრივი კათედრა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვას სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, შექმნის შეფასების ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან სისტემას, შეიმუშავებს სხვადასხვა პროგრამებს დამატებითი სამუშაოების ჩასატარებლად შემხვედრი საჭიროებებისთვის, შეარჩევს მათემატიკის სწავლა-სწავლებისათვის შესაბამის ძირითად და დამხმარე რესურსებს და სხვა* ***<u>დაწესებულებამ გაითვალისწინა საგნობრივი ექსპერტების რეკომენდაციები და წარმოადგინა კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე, რომლებიც დადებითად შეფასდა ექსპერტების მიერ.</u>***
ინდიკატორი 2.1.2.3	*სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;*	***სახელმწიფო ენა*** *_ სასურველია, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა გაითვალისწინონ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები სასწავლო რესურსების შერჩევასთან დაკავშირებით.*

ინდიკატორი **2.1.2. 4.**	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	***სპორტი*** *__ სასურველია დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკების შედგენისას, მასწავლებელმა იხელმძღვანელოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და შეფასების რუბრიკები გაწეროს თითოეული თემის მიხედვით.* ***ბუნებისმეტყველება*** *__ კარგი იქნება, თუ გამოიყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს მაგ, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს.* ***კომპიუტერული ტექნოლოგიები*** *__ პედაგოგს მიეცა* ***რჩევა****, რომ სასურველია წინასწარ ქონდეს შექმნილი შესაბამისი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებების და კლასების მიხედვით.* ***<u>დაწესებულებამ გაითვალისწინა საგნობრივი ექსპერტების რეკომენდაციები და წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, რომლებიც დადებითად შეფასდა ექსპერტების მიერ.</u>***
ინდიკატორი N2.2.1.5	*სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.*	***მათემატიკა*** *___ სასურველია, სკოლის მათემატიკის კათედრამ გააძლიეროს მათემატიკის როლი არაფორმალური განათლების მიმართულებით, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებას, ასევე მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.* ***<u>არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლის გაძლიერება ასახულია როგორც მისიაში, ასევე ხედვაში. შესაბამისად, ამ მიმართულებით მუშაობა სკოლაში მიმდინარეობს და ექსპერტის რჩევაც ეხმიანება აღნიშნულ საკითხს.</u>***

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2 1	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** ***გეოგრაფია*** *VII კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „მოსახლეობა და მეურნეობა“. მეორე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“. მეოთხე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“ და „მოსახლეობა და მეურნეობა“.* *VIII კლასის კურიკულუმში, პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე თემაში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში სასურველია, მიეთითოს პროდუქტი, რომელსაც შექმნიან მოსწავლეები.* *მეორე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „გეოგრაფიული გარსი“.* *მეოთხე თემაში სამიზნე ცნების „მოსახლეობა და მეურნეობა“ ქვეცნება არასწორად არის წარმოდგენილი. ასევე არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „გეოგრაფიული გარსი“, „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“, „მდგრადი განვითარება“.* *მეხუთე თემაში სამიზნე ცნების „გეოგრაფიული გარსი“ ქვეცნება არასწორად არის წარმოდგენილი. ასევე, არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“ და „მოსახლეობა და მეურნეობა“.* *IX კლასის კურიკულუმში, პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე თემებში ქვეცნებები არასწორად არის ფორმულირებული. ასევე, პირველ თემაში არ*

		მუშავდება სამიზნე ცნებები „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“ და „მოსახლეობა და მეურნეობა“. კომპლექსური დავალების იდეაში სასურველია, ჩანდეს რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა. *მეორე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“.* *მესამე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „გეოგრაფიული გარსი“.* *მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება სასურველია, დამუშავდეს.* *კურიკულუმების მიხედვით, მეშვიდე კლასში დაგეგმილია 6 კომპლექსური დავალება, მერვეში 8 და მეცხრე კლასში კი ასევე 8 კომპლექსური დავალება. კომპლექსური დავალებების მოცემული რაოდენობის განხორციელება ნაკლებად რეალისტურია, რაც თავად პედაგოგმაც აღნიშნა ინტერვიუს დროს. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული უნდა იყოს მხოლოდ იმ კომპლექსური დავალების იდეები, რომელსაც რეალურად განახორციელებს მასწავლებელი.* ***ისტორია*** *ისტორიის მე-7 და მე-8 კლასის კურიკულუმებში უმჯობესია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და ქვესაკითხები ერთმანეთისგან გამოყოფილი იყოს შრიფტით, რაც გააადვილებს კურიკულუმის წაკითხვას.* *IX კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „დრო“.* *მესამე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „ისტორიული წყარო“, „დრო“ და „სივრცე“.*

		მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სასურველია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება რომ დამუშავდეს. ***მოქალაქეობა*** *VII კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება "დემოკრატია".* *მესამე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „მდგრადი განვითარება".* *მეხუთე თემაში სამიზნე ცნებებში გამოტანილია „ინიციატივა და მეწარმეობა". აღნიშნული სამიზნე ცნება არ არის საგანში „მოქალაქეობა". ცალკეულ შემთხვევებში კომპლექსური დავალების იდეებში არ ჩანს რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა, აღნიშნული ინფორმაცია კურიკულუმში სასურველია დაზუსტდეს.* *VIII კლასის კურიკულუმში ცალკე გამოტანილია სამიზნე ცნება „ინიციატივა და მეწარმეობა". აღნიშნული სამიზნე ცნება არ არის საგანში - მოქალაქეობა. ასევე, მეორე თემაში, სამიზნე ცნების „სოციალიზაცია" მაგივრად უნდა იყოს „საზოგადოება".* *IX კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში სამიზნე ცნების „სოციალიზაცია" ნაცვლად უნდა ეწეროს „საზოგადოება".* *მეორე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „დემოკრატია". ამავე თემაში სამიზნე ცნება „ინიციატივა და მეწარმეობა" არ უნდა იყოს ცალკე გამოტანილი.* *მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სასურველია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება რომ დამუშავდეს.* ***მათემატიკა*** *— სასურველია, სკოლას გამიჯნულად ჰყავდეს მათემატიკის საგნობრივი კათედრა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის*

		დაგეგმვას სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, შექმნის შეფასების ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან სისტემას, შეიმუშავებს სხვადასხვა პროგრამებს დამატებითი სამუშაოების ჩასატარებლად შემხვედრი საჭიროებებისთვის, შეარჩევს მათემატიკის სწავლა-სწავლებისათვის შესაბამის ძირითად და დამხმარე რესურსებს და სხვა ***<u>დაწესებულებამ გაითვალისწინა საგნობრივი ექსპერტების რეკომენდაციები და წარმოადგინა კურიკულუმები საბაზო საფეხურზე, რომლებიც დადებითად შეფასდა ექსპერტების მიერ.</u>***
ინდიკატორი ***N 2.1.2.2***	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	***უცხოური ენა*** *__სასურველია ინგლისური ენის მე- 9 კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნება "ტექსტის" ნაცვლად იხელმძღვანელოთ "ჟანრით"* ***უცხოური ენა*** *_ სასურველია, რუსული ენის მე- 8 კლასის კურიკულუმში იხელმძღვანელოთ სამზინე ცნება "ჟანრით"* ***<u>დაწესებულებამ გაითვალისწინა საგნობრივი ექსპერტების რეკომენდაციები დ</u>*** ***<u>წარმოადგინა კურიკულუმები (მე-8 კლასი -ინგლისური ენა და მე-9 კლასს - რუსული ენა) საბაზო საფეხურზე, რომლებიც დადებითად შეფასდა ექსპერტების მიერ.</u>***
ინდიკატორი *2.1.2.4*	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	***სპორტი*** *- სასურველია საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკების შედგენისას, მასწავლებელმა იხელმძღვანელოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და შეფასების რუბრიკები გაწეროს თითოეული თემის მიხედვით.*

		საბუნებისმეტყველო მეცნიერებები __ *კარგი იქნება, თუ გამოიყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს მაგ, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს.* ***<u>დაწესებულებამ გაითვალისწინა საგნობრივი ექსპერტების რეკომენდაციები და წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, რომლებიც დადებითად შეფასდა ექსპერტების მიერ.</u>***
ინდიკატორი N2.2.1.5	*სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.*	***მათემატიკა*** __*სასურველია, სკოლის მათემატიკის კათედრამ გააძლიეროს მათემატიკის როლი არაფორმალური განათლების მიმართულებით, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებას, ასევე ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.* ***<u>არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლის გაძლიერება ასახულია როგორც მისიაში, ასევე ხედვაში. შესაბამისად, ამ მიმართულებით მუშაობა დაწესებულებაში მიმდინარეობს და ექსპერტის რჩევაც ეხმიანება აღნიშნულ საკითხს.</u>***
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2 1	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** ***გეოგრაფია*** *მე-10 კლასის კურიკულუმში მეორე სავალდებულო თემა არ არის სრულად წარმოდგენილი. ასევე, თემატურ მატრიცაში აღწერილია ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც არ ხორციელდება აღნიშნული კურიკულუმით, შესაბამისად, ბუნდოვანია, რას ემსახურება აღნიშნული მატრიცები.* ***ისტორია***

		მე-10 კლასის კურიკულუმში სასურველია, დაზუსტდეს ქვეცნებები და ქვესაკითხები. *მე-11 კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში, არ მუშავდება სამიზნე ცნებები „დრო“, „სივრცე“ და „საზოგადოება“.* *მესამე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „ისტორიული წყარო“, „სივრცე“ და „ისტორიული მოვლენა/პროცესი“.* *მე-12 კლასის კურიკულუმში სავალდებულო თემები არასწორად არის წარმოდგენილი. უნდა იყოს: 1. ხანმოკლე XX საუკუნე და 2. მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე.* *პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „დრო“ და „საზოგადოება“.* ***საქართველოს ისტორია*** *მე-10 კლასის კურიკულუმში სასურველია, დაზუსტდეს ქვეცნებები და ქვესაკითხები.* ***მათემატიკა*** *__ სასურველია, სკოლას გამიჯნულად ჰყავდეს მათემატიკის საგნობრივი კათედრა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვას სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, შექმნის შეფასების ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან სისტემას, შეიმუშავებს სხვადასხვა პროგრამებს დამატებითი სამუშაოების ჩასატარებლად შემხვედრი საჭიროებებისთვის, შეარჩევს მათემატიკის სწავლა-სწავლებისათვის შესაბამის ძირითად და დამხმარე რესურსებს და სხვა* ***<u>დაწესებულებამ გაითვალისწინა საგნობრივი ექსპერტების რეკომენდაციები და წარმოადგინა კურიკულუმები საშუალო საფეხურზე, რომლებიც დადებითად შეფასდა ექსპერტების მიერ.</u>***

ინდიკატორი 2.1.2.4	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	***სპორტი*** *-სასურველია საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკების შედგენისას, მასწავლებელმა იხელმძღვანელოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და შეფასების რუბრიკები გაწეროს თითოეული თემის მიხედვით.* ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *__ კარგი იქნება, თუ გამოიყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს მაგ, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს.* ***<u>დაწესებულებამ გაითვალისწინა საგნობრივი ექსპერტების რეკომენდაციები და წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, რომლებიც დადებითად შეფასდა ექსპერტების მიერ.</u>***
ინდიკატორი N2.2.1.5	*სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.*	***მათემატიკა****-სასურველია, სკოლის მათემატიკის კათედრამ გააძლიეროს მათემატიკის როლი არაფორმალური განათლების მიმართულებით, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებას, ასევე ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას* ***<u>არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლის გაძლიერება ასახული როგორც მისიაში, ასევე ხედვაში. შესაბამისად, ამ მიმართულებით მუშაობა დაწესებულებაში მიმდინარეობს და ექსპერტის რჩევაც ეხმიანება აღნიშნულ საკითხს.</u>***

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

როგორც 2023 წლის 26 იანვარს ექსპერტების მიერ შედგენილი დასკვნიდან ირკვევა (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა), შპს ,,სკოლა ახალი თაობის“ II სტანდარტში (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი) არ იყო დამაკმაყოფილებელი გარკვეული

ქვესტანდარტები (2.6.4; 2,7; 3,6). თუმცა, ზემოაღნიშნული გამოწვევები აღმოფხვრილ იქნა წინა წარმოების მიმდინარეობისას, ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე. ამ ეტაპზეც, რაიმე ხარვეზი ზემოაღნიშნული ქვესტანდარტების მიმართულებით არ დაფიქსირებულა.

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლის ადმინისტრაციამ გაიზიარა ექსპერტების პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ (არასავალდებულო ხასიათის რჩევები). კერძოდ, შეიტანა ცვლილებები კურიკულუმებში საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სამივე საფეხურზე. უცხოურ ენებში გათვალისწინებულ იქნა ექსპერტის რჩევები და ცვლილებები შევიდა მე-8 კლასის რუსულისა და მე-9 კლასის ინგლისურის კურიკულუმებში. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილია კომპიუტერული მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის შესაბამისი რუბრიკა. როგორც დაწესებულების კორესპონდენციიდან ირკვევა (34/4, 12.04.2024წ.), გარკვეული რჩევები გამოყენებულ იქნება კურიკულუმის განვითარების პროცესში. აღსანიშნავია, რომ საგნობრივმა ექსპერტებმა დადებითი შეფასება მისცეს წარმოდგენილ მასალას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ,,სკოლა ახალი თაობის“ (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაში მოკლევადიან პერიოდში მისაღწევი მიზნები არ არის გაწერილი. მისია განსაზღვრავს თუ როგორი უნდა იყოს მოქალაქე, რომელსაც აღზრდის სკოლა. მისიაში დეკლარირებული სკოლის სურვილი - მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სკოლა გეგმავს მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით უზრუნველყოს დაწესებულების ინსტიტუციური განვითარება.
სკოლის ხედვაში მთავარი აქცენტი - ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით სასკოლო საზოგადოებისთვის თანამედროვე და ინოვაციურ პროგრამების შეთავაზებაა. თუმცა, დაწესებულების სტრატეგიული

განვითარების დოკუმენტის (SWOT) განხილვისას, ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს დაწესებულების სუსტ მხარეებში მითითებულ გამოწვევაზე - არაფორმალური განათლების მიმართულებით პროექტების სიმცირე. აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ,,სისუსტეების გამოვლენა მიმართულია იმისკენ, რომ არსებული შესაძლებლობის ფარგლებში ის გადაიქცეს ძლიერ მხარედ,,. აღნიშნული დადასტურდა სკოლის პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუირების პროცესშიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მოქმედი მისია და ხედვა ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მათი შინაარსი მოიცავს მთავარ პრინციპებს - უსაფრთხო, ზრუნვაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, რაც მხოლოდ ფიზიკური გარემოს კონტროლს არ გულისხმობს და მოსწავლეების ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფასაც განაპირობებს. სკოლის ფილოსოფიის მთავარი არსი - მოსწავლეს ჰქონდეს შექმნილი ყველა პირობა, რომ თავი მაქსიმალურად დაცულად იგრძნოს და შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, სკოლის მიერ დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების ერთობლიობით არის შესაძლებელი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. დაწესებულებაზე მორგებული მისიის, ხედვის და ღირებულებების შედგენის, განხილვისა და გაზიარებისთვის სკოლამ აწარმოვა სკოლის პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ელექტრონული გამოკითხვა. ექსპერტები გაეცნენ გამოკითხვის ინსტრუმენტის შინაარსს. კვლევის დასასრულს განხორციელდა გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რომლის საფუძველზეც, საბოლოო სახით ჩამოყალიბდა სკოლის ფილოსოფია. აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ შეთავაზებულ მისიას და ხედვას მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 93%-მა, ხოლო 7 % - სთვის წარმოდგენილი ფილოსოფია იყო ნაწილობრივ მისაღები. ექსპერტებისათვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა პასუხი კითხვაზე - როგორ ხედავთ სკოლას 7 წლის შემდეგ? - რესპონდენტთა პასუხები. მშობელთა ინტერესის სფერო იყო - გაცვლითი პროგრამები, თანამედროვე მიდგომებით და მეთოდური ორიენტირებით აღჭურვილი სასწავლებელი, უსაფრთხო და კომფორტული ინფრასტრუქტურა და ა.შ. საბოლოო სახით, სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ მოახდინა სკოლის ფილოსოფიის დამტკიცება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი N5, 05.09.2023წ.). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ შემუშავებული ფილოსოფია გაზიარებული იქნა სასკოლო საზოგადოებისთვის. კერძოდ, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომელსაც დაევალა შპს სკოლა ,,ახალი თაობის" ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობა პროცესში. კვლევის შედეგების განხილვის საფუძველზე დგინდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო (სულ 232), მონაწილე მოსწავლეთა წილი - შედარებით დაბალი (18, 5%), შესაბამისად, მოსწავლეებთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ ყველა მოსწავლე არ ფლობდა ინფორმაციას, რომ სკოლის ფილოსოფიის შესადგენად სკოლაში განხორციელდა კვლევა და შესაბამისად, არც დაადასტურეს მასში მონაწილეობა. სკოლას მიეცა რჩევა - მოსწავლეთა თანამონაწილეობის მაღალი წილი სკოლის ფილოსოფიის შედგენის/გაზიარების პროცესში, საშუალებას მისცემდა მათ აქტიურად ჩართულიყვნენ სასკოლო ცხოვრებაში და მიკუთვნებულობის განცდას გაუღვივებდა სკოლისა და მასში მიმდინარე პროცესების მიმართ.

ექსპერტებმა მშობლებთან ინტერვიუირების პროცესში დაადგინეს შესაბამისობა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და რეალურად მიმდინარე პროცესებს შორის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის მისია და ხედვა საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. კერძოდ, გამოკრულია სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე, წარმოდგენილია დაწესებულების ვებ. გვერდზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. დაწესებულების სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სახელწოდება: ,,სკოლა ახალი თაობა,,. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები);
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N37/2, 11.05.2023წ. და შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1, 04.09.2023წ;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები ფილოსოფიის და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების განხილვაზე;
- კითხვარები;
- სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით ჩატარებული კითხვარის ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომელსაც დაევალა შპს სკოლა ,,ახალი თაობის“ სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, უზრუნველყო სკოლის SWOT ანალიზის, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავება. ექსპერტებმა განიხილეს შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2, 12.09.2023 წ., საიდანაც ირკვევა, რომ პროცესები განხორციელდა შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგის შესაბამისად და გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების სტრატეგიულ დაგეგმარებასთან დაკავშირებული პროცესები მოიცავს: თანამონაწილეობას, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას, გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. სკოლამ

წარმოადგინა შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს 2023-2030 წლებს. სტრატეგიულ მიმართულებებად განსაზღვრულია: სკოლის ინსტიტუციური განვითარება, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება/ახალ შენობაში გადასვლა, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. ექსპერტებმა განიხილეს რამდენად ეფუძნებოდა აღნიშნული დოკუმენტი სკოლის ფილოსოფიას და დაადგინეს კორელაცია მათ შორის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. დაწესებულების ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და სკოლის წინარე გამოცდილებას - საქმეშია შპს სკოლა ახალი თაობის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში. ექსპერტები გაეცნენ ზემოაღნიშნულ ანგარიშს, სადაც მითითებულია, რომ დაწესებულებამ 2022-2023 სასწავლო წელს შემუშავებული სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმიდან უმეტესწილად შეასრულა დაგეგმილი ღონისძიებები, დასახული ამოცანები და მიაღწია სტრატეგიული მიზნების შესრულებას. ზემოაღნიშნულ ანგარიშში ასახული სტრატეგიული მიმართულებები თითქმის იდენტურია, რაც 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაშია წარმოდგენილი და უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის სტრატეგიული მიზნები, მათი მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და სკოლის წინარე გამოცდილებას - საქმეშია შპს სკოლა ახალი თაობის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N37/2, 11.05.2023წ. და შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 2, 12.09.2023წ;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები ფილოსოფიის და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების განხილვაზე;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- SWOT ანალიზი;
- კითხვარები;
- შპს სკოლა ახალი თაობის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებას შედგენილი აქვს შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს (თავი N11). თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა", „ნაწილობრივ შესრულდა", „არ შესრულდა". **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით - დგინდება, რამდენად არის მიღწეული დასახული მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის გზები. ვიზიტის დროს, ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუირების დროს ყურადღება გაამახვილეს ანგარიშგების მექანიზმებზე. როგორც გაირკვა, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარუდგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ სკოლის დირექტორს. ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიიდან ირკვევა, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის ვებ. გვერდზე წარმოდგენილი ანგარიშები, კერძოდ, შპს სკოლა ახალი თაობა 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში და 2018-2023 სასწავლო წლების განვითარების სტრატეგიული გეგმის ანგარიში, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. ის, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის დასტურდება ზემოაღნიშნული ანგარიშებით (იხ. 1.2.2.3 ინდიკატორის აღწერილობა). მაგალითისთვის, 2018-2023 სასწავლო წლების სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშში იკვეთება, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია ხარისხიანი სწავლების განხორციელება და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა სახის პროექტებში. შესაბამისად, სკოლამ პრიორიტეტულ მიმართულებად დაისახა მსგავსი ტიპის ღონისძიებების განხორციელება, რაც აისახა 7

წლიან სტრატეგიულ გეგმაში (სტრატეგიული მიზანი: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ამოცანა - საერთაშორისო ოლიმპიადებში, კონფერენციებში და პროექტებში მონაწილეობა). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს სკოლა ახალი თაობის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- შპს სკოლა ახალი თაობის 2018-2023 სასწავლო წლების განვითარების სტრატეგიული გეგმის ანგარიში;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით , შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' დებულება, რომელიც არეგულირებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობას, მის სტრუქტურას, სკოლის მართვის პრინციპებსა და წესებს. დებულებაში დეტალურად არის აღწერილი სკოლის სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები. გარდა ამისა, სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებიც განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს. სკოლის საშტატო განრიგი და სტრუქტურა იერარქიული დაქვემდებარებით წარმოაჩენს სკოლის ადამიანურ რესურსს, მათ თანამდებობრივ პოზიციას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რაც სკოლის საქმიანობის და მიმდინარე პროცესების ორგანიზების წინაპირობაა. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუირების პროცესში იკვეთება, რომ დაწესებულებაში დასაქმებულები კარგად აცნობიერებენ საკუთარ მოვალეობებს და მათ ზეგავლენას სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. დირექცია თვალს ადევნებს სკოლაში დასაქმებული პირების საქმიანობას და საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფს პროცესების მართვა/კორექტირებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' დებულება;
- დაწესებულების სტრუქტურა და საშტატო განრიგი;
- შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის - შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა - შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტი შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომლის გაცნობა სავალდებულოა სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლისათვის. სკოლის შინაგანაწესი აღწერს სკოლაში არსებულ სამუშაო გარემოს - სამუშაო კვირის ხანგრძლივობას და დასვენების დროს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორებას და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულება პერიოდულად ახდენს ადამიანური რესურსების საჭიროებების ანალიზს, რაზეს მეტყველებს სკოლის მიერ ორგანიზებული გამოკითხვები. მაგალითისთვის, მასწავლებელთა კითხვარში ერთი კითხვაა - ,,გჭირდებათ თუ არა სკოლის დახმარება პროფესიული განვითარების მიმართულებით“ ასევე, ხშირად გაძლევთ თუ არა სკოლა საშუალებას მონაწილეობა

მიიღოთ სხვადასხვა სახის პროექტებსა და ღონისძიებებში, რომელიც ხელს უწყობს თქვენს პროფესიულ განვითარებას? და ა.შ. წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, დგინდება შემდგომი ინტერვენციები როგორც საკუთარი რესურსით, ასევე, გარე მომწოდებლების მიერ ორგანიზებული აქტივობების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ შპს სკოლა ახალი თაობის დებულება მოიცავს თითოეული თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალს, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას უზრუნველყოს სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკით განსაზღვრული შერჩევის ეტაპების განხორციელება. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი, რომელიც ახორციელებს დაკვირვებას პედაგოგებზე და შესაბამისი უკუკავშირის საფუძველზე ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შპს ,,სკოლა ახალ თაობას“ დამტკიცებული აქვს მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი. ზემოაღნიშნული დოკუმენტი ადგენს შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის საქმიანობის დაწყების, მათ შორის, კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს, კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს. ექსპერტებმა ვიზიტის მიმდინარეობისას განიხილეს საკონკურსო მასალები. ასევე, სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები. სკოლაში დასაქმებულ თანამშრომლებს წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი ცნობები ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. ექსპერტებმა განიხილეს პედაგოგების მონაცემები (მინიჭებული სტატუსები) სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ასევე, გაეცნენ შრომით ხელშეკრულებებს. როგორც გაირკვა, სკოლაში პედაგოგიურ საქმიანობას ახორციელებდა 44 მასწავლებელი. მათგან 1 - წამყვანი, 24 უფროსი, 4 მაძიებელი, 6 მოწვეული და 9 დასაქმებული იმ პირობით, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის ვადაში გაივლიდნენ მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, ან იგივე პროგრამის დისტანციურ კურსს. თუმცა, ზემოაღნიშნული პედაგოგების ნაწილი (სულ 7) არ იყვნენ დასაქმებულნი სკოლაში კონკურსის წესით, რაც დადასტურდა სკოლების ვაკანსიების გვერდის (https://teacherjobs.ge/) დათვალიერებისას. ვიზიტის დროს, დაწესებულებამ გარკვეული ცვლილებები განახორციელე პედაგოგთა ხელშეკრულებებში და სკოლების მართვის

საინფორმაციო სისტემაში. კერძოდ, პედაგოგების ნაწილს მიენიჭა მოწვეული მასწავლებლის სტატუსი და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა საათობრივ ბადეში. ასევე, გამოცხადდა ვაკანსიები გარკვეულ დისციპლინებზე და ვაკანსიის შევსებამდე საათები დროებით გადაუნაწილდა 2 (ორი) პედაგოგს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლაში პერსონალის მართვა დამყარებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე. აღნიშნულზე მეტყველებს სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმები, სტრუქტურული ერთეულების შეხვედრის ამსახველი დოკუმენტაცია. დაწესებულებაში გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად არ ხდება. პროცესები შეჯერებულია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. მეორეს მხრივ, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს ფუნქციათა დელეგირებას და იერარქიულ დაქვემდებარებას, რაც პროცესების მწყობრად განხორციელებას განაპირობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. შპს ,,სკოლა ახალ თაობის“ შინაგანაწესის IX თავი განსაზღვრავს დასაქმებულის წახალისების ფორმებს. მათ შორის არის, მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. როგორც ირკვევა, სასწავლო წლის წარმატებით დასრულებისათვის სკოლის მიერ დასაქმებულთა მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას კოლექტიური წახალისების ფორმა - ექსკურსიის დაფინანსება ან კორპორაციული ღონისძიებების ორგანიზება/დაფინანსება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი;
- დებულება;

- შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების მიხედვით;
- შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია, სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება, მასწავლებელთა შიდა შეფასება - მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას, შეფასებას და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. საქმეშია ზემოაღნიშნული ჯგუფის შეხვედრის ოქმები, კითხვარები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის შეფასებას, რის საფუძველზეც დგინდება მათი საჭიროებები და იგეგმება შემდგომი ინტერვენციები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. პროფესიული განვითარების მიზნით, დაწესებულებას გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შედგენილი აქვს თანამშრომელთა პროფესიული ზრდისთვის დაგეგმილი აქტივობების გეგმა 2023-2024 სასწავლო წლისთვის. კერძოდ, დაგეგმილი აქტივობები განსაზღვრულია გარკვეული სამიზნე ჯგუფებისათვის, მითითებულია ორგანიზაცია, დაფინანსების წყარო და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სკოლის პირადი საქმეების დათვალიერებისას, ექსპერტებმა განიხილეს სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია - სერტიფიკატები, ცნობები, ტრენინგის გავლის დამადასტურებელი მტკიცებულებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შპს ,,სკოლა ახალი თაობა" ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე, რასაც ცხადყოფს სკოლის მიერ თანამშრომლებისათვის შეთავაზებული აქტივობები. ეს პროცესები აისახება თანამშრომელთა კარიერულ ზრდაზეც. შპს ,,სკოლა ახალი თაობის'' ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების მიზნები (თავი 2) და ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანები (თავი 3), ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება (თავი 10) და ა.შ. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის განხილვისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შპს ,,სკოლა ახალი თაობის'' ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილია თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები (მუხლი 7). როგორც ირკვევა, სკოლა ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით მიმართავს სხვადასხვა

ღონისძიებებს და აქტივობებს, კერძოდ: ახალი თანამშრომლისათვის სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, სკოლის დათვალიერება, პირადი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა და ა.შ. შემდგომი ეტაპია ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, რომელიც სხვადასხვა აქტივობებით ხორციელდება. ვიზიტის პერიოდში საკონკურსო მასალების გაცნობის და სკოლების ვაკანსიების გვერდის (https://teacherjobs.ge/) დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში მასწავლებელთა მობილობა საკმაოდ მაღალია. სკოლის SWOT ანალიზშიც მითითებული აქვს, რომ მასწავლებელთა ხშირი ცვლილება სკოლისათვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. სკოლის დირექციას კარგად აქვს გათვითცნობიერებული ის ნაბიჯები, რაც ზემოაღნიშნული პრობლემის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში აღწერილია თანამშრომელთა მოტივაციის მექანიზმები, რომლის მეშვეობით დასაქმებული მიიღებს პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობას. როგორც ირკვევა, სკოლა თანამშრომელთა წარმატებულ მიღწევებს ან აქტივობებს ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. დაწესებულებას ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ფინანსური სახსრები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- თანამშრომელთა პროფესიული ზრდისთვის დაგეგმილი აქტივობების გეგმა 2023-2024წწ.;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შედგენილი აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,შპს სკოლა ახალი თაობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომლის თანახმად, სკოლაში დანერგილია შეფასების ორი მექანიზმი: შიდა ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც

ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე, ასევე, გარე შეფასება. სკოლას წარმოდგენილი აქვს აგრეთვე, ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა (2023-2024 სასწავლო წელი), სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი სკოლის მიერ განსახორციელებელი საქმიანობები სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სტანდარტებთან (საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი) შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. სკოლის მიერ წარმოდგენილი შიდა დოკუმენტაცია (ანგარიშები, შეხვედრის ოქმები, ანალიზი და სხვა) ადასტურებს, რომ პროცესები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების იდენტიფიცირებას. სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები კარგად აღწერს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. მმართველობით პროცესი უკავშირდება სკოლის საქმიანობის დაგეგმვას და კონტროლს. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება. დეტალურია დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და გულისხმობს: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოებას, საქმისწარმოებას (დოკუმენტბრუნვა), ფინანსების მართვას, საზოგადოებასთან ურთიერთობას და სხვა. თითოეული მიმართულებისთვის შედგენილია მარეგულირებელი დოკუმენტები, რაც განაპირობებს პროცესების ორგანიზებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლას შედგენილი აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით შპს ,,სკოლა ახალი თაობაში'' განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე. წესი დეტალურად აღწერს დაწესებულებაში საჩივრის განხილვის პრინციპებს, განცხადების/საჩივრის წარდგენის წესს, განცხადების განხილვის ზოგად წესებს და ვადებს. მე-2 თავი აღწერს ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების სპეციალურ წესს. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები დაინტერესდნენ გასაჩივრების და დისციპლინური წარმოებების სტატისტიკური მონაცემებით. როგორც გაირკვა, გასაჩივრების შემთხვევები დაწესებულებაში არ ფიქსირდება, ასევე, სკოლაში დისციპლინური წარმოების შემთხვევებიც არ იყო განხილული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შპს ,,სკოლა ახალი თაობის'' სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. პერსონალის და მშობლების უფლებამოსილება, ასევე, გაწერილია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლის მიერ შედგენილია ,,მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი,,, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა შორის არსებული კონფლიქტების მოგვარების ეფექტურ გზას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს მონაწილე მხარეთა ინტერესებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,შპს სკოლა ახალი თაობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი";
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- შინაგანაწესი;
- ,,მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი,,;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრუქტურული ერთეულების მუშაობა სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი) ჩართულობის საფუძველზე ხორციელდება. მშობლები, სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები იცნობენ სკოლის პოლიტიკის და მართვის

დოკუმენტებს, დებულებებს, მარეგულირებელ წესებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. შპს სკოლა ახალი თაობის დოკუმენტაციის განხილვისას, ექსპერტები გაეცნენ კითხვარებს, რომლებსაც სკოლა იყენებს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შეფასებისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულებაში დაკომპლექტებული კოლეგიური ორგანოების ფუნქციები მკაფიოდ არის გაწერილი. სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, სადაც ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება, აზრის, იდეის, შენიშვნისა თუ რეკომენდაციის გაცემის საშუალება. სკოლის თვითმმართველობაც ქმედითი რგოლია. ექსპერტები ვიზიტის დროს გაეცნენ თვითმმართველობის სამუშაო დოკუმენტაციას. განსაკუთრებულო ყურადღება მიიპყრო თვითმმართველობის წევრების წერილებმა, რომლითაც ისინი მიმართავდნენ სკოლის დირექციას გარკვეული ინიციატივებით და რომელთა აქტიური მუშაობის შედეგად დაწესებულებაში არაერთი საინტერესო აქტივობა განხორციელდა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- კათედრის მუშაობის დებულება;
- თვითმმართველობის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ,,სკოლა ახალი თაობის: დირექტორის ბრძანებით N190/2, 30.12.2023 წ. დამტკიცდა სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში უსაფრთხოების დაცვის პროცედურებს და მექანიზმებს. უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების ერთ-ერთი მიზანი - სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაა, წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება და ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლაში დასაქმებულია უსაფრთხოების მანდატური და დაცვის თანამშრომელი. შენობა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით. შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია 16 კამერა, ხოლო გარე პერიმეტრზე 5. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო

შტაბი. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმა. საქმეშია, ასევე დაწესებულების სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი (No 95, 12.03.2024წ.). საიდანაც დგინდება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა. ასევე, საქმეშია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (N5004546820, 12.08.2020წ.), რომლის თანახმად, სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალა და შენობა ექსპლუატაციისთვის ვარგისად.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის სამედიცინო კაბინეტი, განიხილეს ექიმის პირადი საქმე. როგორც გაირკვა, სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა და ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' შედგენილი და დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომლის დანართსაც წარმოადგენს პირველადი დახმარების პროტოკოლი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომლითაც ხელმძღვანელობს. სკოლა მკაცრად აკონტროლებს სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების გადაადგილებას - შესაბამისი დებულება - ,, შპს სკოლა ,,ახალ თაობაში'' ვიზიტორთა შესვლისა და სკოლის საერთო სივრცეებში გადაადგილების წესი" აკრძალვას უწესებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლას სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. დაწესებულებას აქვს ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. დაწესებულებაში მოსწავლეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ფსიქოლოგის მომსახურებით. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის ფსიქოლოგს, რომელიც კლასის დამრიგებლებთან მჭიდრო კომუნიკაციის, ასევე, მშობელთა მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მოსწავლეთა მომსახურებას. ფსიქოლოგი მუშაობის დროს ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ და ასაკობრივი თავისებურებებს. დიდი ადგილი უჭირავს პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს, რომლებიც

მდგრადი ფსიქოლოგიური და ემოციური გარემოს საწინდარია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფს შენობის დასუფთავებას, ასევე, კანონმდებლობის ფარგლებში სკოლის ექიმი. პერსონალის ფუნქციები გაწერილია მათ ხელშეკრულებებში. ანგარიშგების სისტემა ეფექტურად მუშაობს და შესაბამისად, დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. დაწესებულებას გააჩნია მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვის წესი. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შედგენილია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები,,. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებას კანონის შესაბამისად. როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებლების პირად საქმეებში წარმოდგენილია მათი/მათი კანონიერი წარმომადგენლების თანხმობები პერსონალური მონაცემების საგანმანათლებლო მიზნებისათვის დამუშავებასთან დაკავშირებით. ექსპერტებმა განიხილეს დაწესებულებასა და სკოლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში, სადაც მე-10 მუხლი არეგულირებს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მისი შვილის პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. როგორც აღინიშნა, დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც დეტალურად აღწერს დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკას აღნიშნული მიმართულებით. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არა ავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, ასევე მონაცემთა ბაზების ადმინისტრირებას ისე, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

7. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების თანახმად, სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგი სისტემატურად ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა

დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში აცნობოს სკოლის ადმინისტრაციას შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა;
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი (No 95, 12.03.2024წ.).
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმებით, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- ფსიქოლოგის ხელშეკრულება;
- ექიმის ხელშეკრულება;
- ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტინგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ,,სკოლა ახალი თაობა“ განთავსებულია ბეჟან კალანდაძის ქ. N3-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველ და მეორე სართულზე. სკოლას აქვს შემოღობილი ეზო 300 კვ.მ - ფართის. ეზოს მთელი პერიმეტრი, მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, გადახურულია ბადით. 1550,8 კვ.მ შენობა-ნაგებობა დაწესებულებას იჯარით აქვს გაცემული - 1308 კვ.მ, 2033 წლის 30 ივნისამდე, ხოლო 242,80 კვ.მ -ზე საიჯარო ხელშეკრულება დადებულია 01.02.2024წ. და მოქმედების ვადა

შეადგენს 10 წელს. სკოლაში 23 საკლასო ოთახია, რომელიც აღჭურვილია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლას აქვს გარე და შიდა სპორტული მოედნები, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, სასადილო, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი და სხვა დამხმარე სივრცეები. სკოლას აქვს პრინტერები, 1 ცალი პროექტორი და 1 ცალი ჭკვიანი დაფა, 7 ტელევიზორი. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკაც. . სკოლის ბიბლიოთეკაში ორი სივრცეა - ერთი სამკითხველო დარბაზია, სადაც როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ იქ არსებული წიგნადი ფონდით. აქვე განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკაც. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების ბალანსზე იყო 815 სასკოლო სახელმძღვანელო და 1106 ცალი სხვა წიგნები (დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები და ა.შ.). წიგნები დამუშავებულია კანონით დადგენილი წესით. ბიბლიოთეკაში ვხვდებით სკოლის მიერ გამოწერილ პერიოდულ გამოცემებსაც. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით, სადაც მითითებულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი (ყოველ დღე, შაბათ –კვირისა და შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე), ინფორმაცია საბიბლიოთეკო დოკუმენტის (რესურსის) გატანა-დაბრუნების შესახებ, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის - სკოლის მოსწავლეებისთვის და თანამშრომლებისთვის. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის. სპორტული დარბაზი - სკოლის მიერ დაგეგმილი სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობების განხორციელებისთვის გამოიყენება. დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს სკოლის ბიბლიოთეკით და ლაბორატორიებით სარგებლობის წესები. საერთო სარგებლობის სივრცეები, განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის, კეთილმოწყობილია, მასში განთავსებულია რბილი ავეჯი, გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები და სხვა სასარგებლო რესურსი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. სკოლის გარემო ადაპტირებულია. შენობის-2 სართულზე გადასაადგილებლად სკოლას აქვს მოძრავი პანდუსები. შენობაში მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, ეზო) ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეთათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის - სკოლის მოსწავლეებისთვის და თანამშრომლებისთვის. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის. სპორტული დარბაზი - სკოლის მიერ დაგეგმილი სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობების განხორციელებისთვის გამოიყენება. დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს სკოლის ბიბლიოთეკით და ლაბორატორიებით სარგებლობის წესები. საერთო სარგებლობის სივრცეები, განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის, კეთილმოწყობილია, მასში განთავსებულია რბილი ავეჯი, გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები და სხვა სასარგებლო რესურსი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ასევე, მხატვრული, სამეცნიერო ლიტერატურა. სკოლის ელექტრონული რესურსი უზრუნველყოფს ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. სკოლის კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები ხელს უწყობს მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების განვითარებას და დადებითად აისახება მათ განვითარებაზე. კერძოდ, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ვხვდებით სამივე საგნისთვის განკუთვნილ ხელსაწყოებს, პრეპარატებს, მულაჟებს. ლაბორატორიაში ასევე არის სველი წერტილი და გამწოვი კარადაც. ფიზიკის სწავლებისას ასევე გამოიყენება ვირტუალური ლაბორატორია (დავით სონღულაშვილის ავტორობით). ქართული ენისა და ლიტერატურის საშუალო საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რომლებიც გაწერილია კურიკულუმებში. ესაა როგორც დამხმარე ტექსტები, სახელმძღვანელოსთან ერთად, ისე სასწავლო თემებთან შესაბამისი ვიდეო და აუდიო მასალა, როგორებიცაა ანიმაციური, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმები. კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის, სკოლას გამოყოფილი აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სკოლაში ფუნქციონირებს გამართული კომპიუტერები, ყველა მათგანი ჩართულია ინტერნეტის ქსელში, კომპიუტერებზე დაინსტალირებულია სასწავლო პროცესისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა, თვალსაჩინოებისთვის სკოლა იყენებს პროექტორებს, ჭკვიან დაფას და პრინტერებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- იჯარის ხელშეკრულება;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- სასკოლო ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პერიოდული გამოცემის გამოწერის ხელშეკრულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას გააჩნია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო რესურსები. კერძოდ, 26 პერსონალური კომპიუტერი და 8 პორტატიული, რომელთა დიდი ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ნაწილი კი, სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებში. სკოლას აქვს 4 პრინტერი/ქსეროქსი, 1 ცალი პროექტორი და 1 ცალი ჭკვიანი დაფა, 7 ტელევიზორი, ტექნოლოგიები ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლის ადმინისტრაციის და პერსონალის კაბინეტებშიც განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც ადმინისტრაციული პროცესის წარმართვისთვის გამოიყენება (Eschool, Eflow).

2. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (დებულება), რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. წესის მე-5 მუხლი განსაზღვრავს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (დებულება).

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება საქმისწარმოებას ახორციელებს დადგენილი წესის მიხედვით (შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' საქმისწარმოების წესი). წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის, ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისთვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. სკოლაში საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციული მენეჯერი. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სარეგისტრაციო ჟურნალებიც. კერძოდ, სკოლაში ვხვდებით: შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალს, საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს, საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს, მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან დადებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს, და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია და აკინძულია სათანადო წესით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის - eflow - ს ხელშეკრულება, რომლის თანახმად, 4 მომხმარებელს საშუალება ექნება გამოიყენოს სისტემა სასკოლო საქმიანობისთვის. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლის წარმომადგენლებმა დაიწყეს სისტემით სარგებლობა, რაშიც დარწმუნდნენ ექსპერტებიც. დაწესებულება სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით (eSchool), რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების მონაცემები და სხვა საჭირო ინფორმაცია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მონაცემებიც. როგორც აღმოჩნდა, დაწესებულებას არ ჰქონდა ატვირთული eschool - ის ბაზაში საგაკვეთილო ცხრილი, შესაბამისად, არ იყო ხელმისაწვდომი თითოეული მასწავლებლის დატვირთვა და სხვა დაკავშირებული მონაცემები. ვიზიტის დასრულებამდე სკოლამ უზრუნველყო ზემოაღნიშნული ხარვეზის გამოსწორება და

საბოლოო ჯამში, ინფორმაცია სრულყოფილად იყო წარმოდგენილი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. დაწესებულება თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. კერძოდ, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- ხელშეკრულება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის - eflow - ს გამოყენების თაობაზე.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ვებ. გვერდი https://axalitaoba.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებ გვერდი ინფორმაციულია, მასზე წარმოდგენილია - ინფორმაცია სკოლის შესახებ, განხორციელებული აქტივობები, სკოლაში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტები, გაკვეთილების განრიგი, ინფორმაცია სიახლეების შესახებ და .აშ. სოციალური ქსელის გვერდზე სკოლას 12 ათასზე მეტი მიმდევარი ჰყავს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. დაწესებულება ახორციელებს თავისი საქმიანობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის გავრცელებს. აღნიშნული დადასტურდა სკოლის ვებ. გვერდის დათვალიერებისას. კერძოდ, სკოლის საქმიანობის ამსახველი ძირითადი და სავალდებულო დოკუმენტები, ინფორმაცია აკადემიური პროგრამების, სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ დეტალურად აღწერს სკოლაში მიმდინარე პროცესებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით ინტერვენციების დაგეგმვა. როგორც მშობლებთან საუბრისას გაირკვა, სკოლა ღიაა მათთვის, უყურადღებოდ არ ტოვებს და ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს თუ პოზიციას გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. სკოლის ვებ. გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. როგორც უკვე აღინიშნა, ვებ. გვერდი ინფორმაციულია და დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას სკოლის ფილოსოფიის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ. აგრეთვე, დეტალურად აღწერს ჩარიცხვის პროცედურებს, გასაჩივრების მექანიზმებს, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებს, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისებს, გასაჩივრების მექანიზმებს და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ. გვერდი https://axalitaoba.ge/

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. კერძოდ, სკოლის ფინანსური რესურსებია მოსწავლეებთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სწავლის გადასახადი, აგრეთვე, ვაუჩერული დაფინანსება. დაწესებულებას ჰყავს ფინანსური მენეჯერი, რომლის ფუნქციაა უზრუნველყოს სახსრების სწორად და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება, ფულადი სახსრებისა და მისთვის მინდობილი მატერიალური ფასეულობების დაცვა. ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას ინფრასტრუქტურა იყოს გამართული, უსაფრთხო, მოწესრიგებული, ხოლო სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი შესაბამისი რესურსით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის ფინანსური დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა საპროგნოზო მონაცემებს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს ფინანსური მენეჯერი, უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური და ბუღალტრული პოლიტიკის დაგეგმვას, მართვასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფინანსური ანგარიშგება.
- სკოლის ბიუჯეტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ,,სკოლა ახალი თაობის“ შინაგანაწესიდან მკაფიოდ იკვეთება, რომ შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. სკოლაში შედგენილი ყველა დოკუმენტი, მათ შორის, სასკოლო-სასწავლო გეგმა, დებულებები, რეგულაციები უზრუნველყოფენ მოსწავლეებს თანაბარ პირობებში, შეუზღუდავად ისარგებლონ სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობით, თუ რესურსით. აღნიშნული დადასტურდა სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის განხილვისა, თუ ინტერვიუირების პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, შემუშავებულია შიდა ინსტრუქციები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. თითოეული დოკუმენტი არის საჯარო და ხელმისაწვდომი. სკოლის შინაგანაწესი კლასის ხელმძღვანელების/ტუტორების მიერ გაზიარებულია დაინტერესებული პირებისთვის (მოსწავლე, მშობელი). სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია სკოლის მიერ მიღებული

გადაწყვეტილების გასაჩივრების წესისა და პროცედურების შესახებ. გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით ინფორმაცია ასევე, განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზეც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, სადაც გაწერილი აქვს მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე, სკოლის ვალდებულება მოსწავლესთან მიმართებაში. ხელშეკრულების თანახმად, მოსწავლე უფლებამოსილია: მიიღოს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი მაღალი ხარისხის განათლება, პედაგოგთან ურთიერთობის გართულების შემთხვევაში, მიმართოს ადმინისტრაციას და გამოხატოს თავისი შეხედულება და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ,,სკოლა ახალი თაობის“ შინაგანაწესი;
- სკოლასა და მშობელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ვებ. გვერდზე წარმოდგენილია ინფორმაცია შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენისა და შეწყვეტის წესი, რომელიც დეტალურად აღწერს ზემოაღნიშნულ პროცედურებს და შესაბამისად, ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია. გარდა ამისა, ზეპირსიტყვიერად სკოლის ადმინისტრაცია და დამრიგებლები, დაინტერესების შემთხვევაში, უზრუნველყოფენ მოსწავლეების და მათი მშობლების ინფორმირებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების შიდა დოკუმენტაცია, სკოლის მიერ გამოცემულ ბრძანებებს და სხვა მასალას. განიხილეს მოსწავლის სტატუსის შეჩერების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების და სხვა დოკუმენტაცია და დაადგინეს შესაბამისობა სკოლის მიერ შედგენილ რეგულაციებს და რეალურად მიმდინარე პროცესებს შორის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე. კერძოდ, ინფორმაცია ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ/გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას ფასიანი წრის სახით, ასევე ინფორმაცია სკოლის მიერ შეთავაზებული უფასო წრეების შესახებ. სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, რომ არჩევითი საგნების შეთავაზება ხდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად. ინტერვიუირების დროს, ექსპერტებმა კითხვით მიმართეს მოსწავლეებს (სულ 2), მიღებული ჰქონდათ თუ არა მათ მონაწილეობა კვლევაში, თუმცა, მათ არ დაადასტურეს აღნიშნული. **ექსპერტებმა რჩევით მიმართეს სკოლის წარმომადგენლებს - კვლევებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობრივი წილის გაზრდის თაობაზე.** დაწესებულება კარგად ათვითცნობიერებს, რომ ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურული, სპორტული და სხვა მიმართულებებით. სკოლის ხედვაც, სწორედ ამ მიმართულებით დაწესებულების გაძლიერებას ითვალისწინებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შპს ,,სკოლა ახალ თაობა“ ინფორმაციას ავრცელებს ვებ. გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია. სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა. სკოლის ადამიანური რესურსიც (დამრიგებლები, ადმინისტრაცია) უზრუნველყოფენ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული პირებისათვის პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენისა და შეწყვეტის წესი;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს შპს ,,სკოლა ახალი თაობის'' მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობის ზრდას. ინტერვიუირებისას მოსწავლეების მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სწორედ სკოლა დაეხმარა მათ შვილებს დაწესებულებასთან ადაპტაციისას. სკოლის ფსიქოლოგიც ჩართულია აღნიშნულ პროცესებში და უზრუნველყოს, რომ გათვალისწინებულ იქნას მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი ხასიათი და ტემპერამენტი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის ფიზიკური გარემო, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, იმგვარად არის მოწყობილი, რომ დაწესებულება მოსწავლეთათვის მიმზიდველი და საინტერესოა. უდავოდ, იგი დადებით ზეგავლენას ახდენს მოსწავლეებზე და ადაპტაციის პროცესს ხელს უწყობს. კლასის დამრიგებლები/ტუტორები ეხმარებიან მოსწავლეებს დაამყარონ კომუნიკაცია კლასელებთან.

დიდი ადგილი უკავია აღნიშნულ პროცესში ჯგუფურ დავალებებს, თამაშებს და სხვა ისეთ აქტივობებს, სადაც წარმატების მისაღწევად აუცილებელია კოორდინირებული ქმედებები და ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილოს სკოლის მხრიდან მოსწავლეთა აკადემიურ მხარდაჭერასა და რემედიაციაზე. როგორც მშობლებმა, ისე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ეს პროცესები სკოლაში ეფექტურად ხორციელდება. სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, უტარდებათ დამატებითი კონსულტაციები. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, სადაც მშობლებისათვის ხელმისაწვდომია მოსწავლეთა შეფასებები, რაც პროცესში მშობელთა ჩართულობასაც უზრუნველყოფს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწესებულება მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლა ექსტერნატის, სემესტრული თუ საშემოდგომო გამოცდების ჩატარების შესახებ ინფორმაციას აწვდის მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულება სთავაზობს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ და გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას ფასიანი წრის სახით, ასევე, მოსწავლეთათვის შეთავაზებულია უფასო წრეები. სკოლა გეგმავს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე, კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადოს მოსწავლეთა მომსახურება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებით, სკოლა განსაზღვრავს ინტერვენციებს. სკოლის მიერ შემუშავებული სარკისებური კითხვარი აუმჯობესებენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს და მომსახურების ხარისხს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ,,სკოლა ახალი თაობის'' მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომობის მიზნით, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები როგორც პროფესიულ, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (კოლეჯი ,,სპექტრი", კოლეჯი ,,იკარუსი", შპს ,,საქართველოს ბიზნეს აკადემია", სულხან-საბას ორბელიანის უნივერსიტეტთან, შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ"). გარდა ამისა, სადამრიგებლო პროგრამები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რაც აისახება შემდგომ აქტივობებში: შეხვედრები სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, დაწესებულების მიერ

ორგანიზებული საუბრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწორედ სკოლამ განაპირობა მათი პროფესიული არჩევანი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. როგორც ირკვევა, დაწესებულებამ ჩაატარა კვლევა, რომლის შედეგების გათვალისწინებით გეგმავს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში გამოიყენოს კვლევის შედეგები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ,,სკოლა ახალი თაობის“ სასკოლო-სასწავლო გეგმაში ერთი თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, სადაც დეტალურად არის აღწერილი ინდ გეგმის შედგენის მექანიზმები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები და სხვა. იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს, შემუშავებულია სპეციალური რეგულაციები. სკოლაში ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა 5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე, რომელთათვისაც შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები, მათ ემსახურებათ სპეციალური პედაგოგი და ფსიქოლოგი. სკოლას მოწყობილი აქვს რესურს ოთახი, სადაც განრიგის შესაბამისად,

მათ სთავაზობენ ინდივიდუალურ მეცადინეობებს. დაწესებულებას ასევე დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები, (ინკლუზიური განათლება)", სადაც სრულყოფილად არის აღწერილი სსსმ მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სსსმ მოსწავლეები ინტეგრირებულები არიან სხვადასხვა კლასებში. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას ინკლუზიური სწავლების პროცესში. მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე ზრუნავენ საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები, დირექცია, მშობელი, მოსწავლეები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- სახელწოდებით ,,შპს სკოლა ,,ახალი თაობის'' სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები, (ინკლუზიური განათლება)";
- სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლეთა მომსახურებას კვებით. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მომწოდებელთან, რომელსაც აქვს შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლება. სასკოლო კვების ობიექტის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას ახორციელებს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მიწოდების მიზნით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა ფასიან და უფასო წრეებს, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად მზადაა მშობლებთან კომუნიკაციისთვის და მშობლებს შესაძლებლობა აქვთ მიმართონ პირდაპირ სკოლის დირექციას, თუ მათ სურთ მიიღონ კონკრეტული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, რაც დადასტურდა მშობლებთან ინტერვიუირების პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის შინაგანაწესის მიზანია სკოლაში უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება ასევე, მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. უსაფრთხოება რომ სკოლის

ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, დასტურდება სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტებით, ფიზიკური გარემოთი და იმ ადამიანური რესურსით, რომელიც დასაქმებულია დაწესებულებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი -დაწყებითი საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლა ,,ახალ თაობას“ შემუშავებული აქვს ,,კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეფექტიანი სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისათვის სკოლამ უნდა იხელმძღვანელოს ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივი ჯგუფის მიზნებით/კომპეტენციებით. ამ დოკუმენტის პირველი ნაწილიდან ჩანს, რომ კათედრების მიერ შემუშავდა საგნობრივი კურიკულუმები, იდეების გაცვლის, მსჯელობის საფუძველზე მოხდა საბოლოო ვერსიაზე შეჯერება. დაწყებით საფეხურის პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტული საკითხების გათვაისწინებას. დეტალურად ისაუბრეს ვინ, როგორ და რატომ არის ჩართული კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში. დოკუმენტში აღნიშნულია ძირითადი პრიორიტეტები, როგორებიცაა მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულობა, ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში ტოლერანტი, შემოქმედი, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი მოსწავლის აღზრდა. კომპლექსური დავალებები და აქტივობები, რომლებიც ჩაშენებულია მათემატიკის მიმართულებით ყველა კლასის კურიკულუმში, მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების დადგენა მოხდა მოსწავლეთა ნამუშევრების

შედეგების ანალიზის საფუძველზე. შედეგების ანალიზის შესაბამისად მოხდა კურიკულუმების მოდიფიცირება და ეს ციკლურ პროცესს წარმოადგენს სკოლისთვის და კათედრებისთვის. ის, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ასევე დასტურდება ჩატარებული კვლევებიდან, რომელთა შესახებაც კითხვარები (მშობლისთვის, მასწავლებლისთვის) სკოლას ნიმუშების სახით აქვს წარმოდგენილი. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ პედაგოგებს კათედრაზე განაწილებული აქვთ ფუნქციები , შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რაც მიზნად ისახავს ყველას ჩართულობასა და მათი შეხედულებების გათვალისწინებას. დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოები გვიჩვენებს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება- კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სკოლა ამუშავებს შუალედური მიზნებს, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. ყოველივე აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან როგორც თემატურ საკითხებზე, ისე შეფასების ინსტრუმენტებზე. ისინი წინა სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და მიგნებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლას გაცნობიერებული აქვს სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენლის ინტერესების ასახვის აუცილებლობა კურიკულუმებში, ამიტომ მათი შემუშავებისას ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. დაწყებით საფეხურზე პედაგოგები აანალიზებენ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა შედეგებს, გადაწყვეტილებებისას ითვალისწინებენ მშობლებისგან მიღებულ ინფორმაციასაც. ,,კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“ აღნიშნულია მასწავლებლებსა და კათედრის ხელმძღვანელებს ვალდებულებები ამ მიმართულებით. ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებას, იმ რეკომენდაციების გათვალისწინებას, რომელსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. დოკუმენტში გაწერილია, რომ დაწესებულებას ევალება დააკვირდეს საკუთარ გამოცდილებასა და შესაძლებლობებს, ყურადღება მიაქციოს სასკოლო საზოგადოების დაკვეთას, გარე შეფასების მექანიზმების მოთხოვნებს, განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასების შედეგებს. სასკოლო საზოგადოების დაკვეთას სკოლა განსაზღვრავს გამოკითხვებისა და/ან ფოკუს ჯგუფებიდან ამოღებული ინფორმაციის საშუალებით. ეს ყველაფერი კი იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ კურიკულუმებში სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია. ამის დასტურია ის, რომ სკოლაში ფუნქციონირებს საშაბათო სკოლა

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის და, ასევე, ხორციელდება მენტალური არითმეტიკის პროგრამა, სხვადასხვ მიმართულების კლუბები .

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ მის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით (დირექცია, მასწავლებლები). ამ ჯგუფმა ჩაატარა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გაანალიზების და კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნა სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები. სკოლის პრაქტიკაა სასკოლო საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაცია და გამოკითხვების ჩატარება. მიმდინარე სასწავლო წელს მოხდა მშობელთა კმაყოფილების კვლევა, მშობლებს საშუალება ჰქონდათ შეეფასებინათ სადამრიგებლო პროგრამა და დამრიგებლის მუშაობა აღნიშნული კითხვარის შედეგები დამუშავდა და შედეგები გამოყენებული იქნება სადამრიგებლო პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

საგნობრივი კათედრები მჭიდროდ თანამშრომლობენ სამივე საფეხურზე , კათედრებში გაერთიანებულნი არიან ორი ან სამი საგნის პედაგოგები(ქართული ენისა და ლიტერატურისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგები) ისინი ერთად გეგმავენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს . გარდა ამისა, სხვა კათედრების თანამშრომლებთან ერთადაც განიხილავენ პრობლემურ საკითხებს. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუსას განაცხადეს, ერთმანეთს უთანხმებენ შესასწავლ თემებსა და საკითხებს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, კომპლექსური დავალებების იდეებს და მათ განხორციელებას, ერთობლივად ზრუნავენ საჭირო ძირითადი რესურსებზე შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მშობელთა კრებაზე განიხილავენ მშობლების მოსაზრებებს და მათგან მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ კურიკულუმების შემუშავებისას. მშობლის ჩართულობის საკითხი კარგად ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,, კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია“.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი-www.skolaaxalitaoba.ge, სადაც იტვირთება ყველა სიახლე და მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რაც უკავშირდება სკოლას. ასევე დასტურდება, რომ შემუშავებული და განხორციელებული კურიკულუმების

გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოებისათვის კიდევ სხვა საშუალებებით, კერძოდ, სოციალური მედიით, ბეჭდვითი მასალებით, საინფორმაციო დაფებით , კლასების დახურულ ჯგუფებში. სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი და აქტიური გვერდი სოციალურ ქსელში (https://www.facebook.com/skolaakhalitaoba), რომლითაც უზრუნველყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებასა და უკუკავშირის მიღებას სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან და სხვა დაინტერესებული პირებისგან.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთა კრების ოქმი;
- კათედრის ოქმი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კვლევის კითხვარები მშობლებისა და მასწავლებლებისთვის ;
- საშაბათო სკოლისა და მენტალური არითმეტიკის პროგრამა;
- ვებგვერდი-www.skolaaxalitaoba.ge
- სოციალური ქსელი-https://www.facebook.com/skolaakhalitaoba

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

დაწყებითი საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმში კარგად ჩანს მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს: მრავალფეროვან კონტექსტ მაგალითებსა და დამატებით რესურსებს . შემოთავაზებულია საკმაოდ მდიდარი მასალა, როგორიცაა ანიმაციური, ვიდეო ფილმები, სხვადასხვა ტიპის მაორგანიზებელი სქემები, თვალსაჩინოებები, აუდიო თუ ვიზუალური მასალა...

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარდა ამისა, როგორც კათედრის ოქმიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებში და აქტივობებში, მაგლითად ინგლისური ენაში დაწყებით საფეხურზე Spelling Bee Words Competitionს შეჯიბრება ინგლისური სიტყვების მართლწერაში, "Maths in English / მათემატიკა ინგლისურად" მოსწავლეები აცნობენ გეომეტრიულ ფიგურებს, იმართება სახალისო თამაშები, აქვთ სცენარები "ინტერვიუ ზღაპრების საყვარელ პერსონაჟებთან" ასევე მესამე უცხოურ ენაში მაგალითად ამ საფეხურზე გვხვდება გერმანულენოვანი საბავშვო სიმღერებით ცოდნის გააქტიურება და სხვ. აღნიშნული მიდგომა, რომელიც ასევე მოსწავლეთა არაფორმალურ განათლებაში და მათ სხვადასხვა პროექტებში ჩართულობას მოიაზრებს, შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის მაგალითად.

თუმცა , უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში ზოგან შეიმჩნეოდა თემებისა და საკითხების ურთიერთმიმართებაში ბუნდოვანება, ასევე კონტექსტ- მაგალითების შეუსაბამობა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ამიტომ ინტერვიუს დროს პედაგოგებს მიეცათ რჩევები აღნიშნულთან დაკავშირებით;

ინტერვიუს შემდეგ მათ დამატებით დოკუმენტად წარმოადგინეს შესწორებული კურიკულკუმები და გამოთქვეს მზაობა, რომ უფრო ყურადღებით და დეტალურად განიხილავდნენ ყველა კლასის კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს. შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგები მზად არიან, ერთად შეიმუშაონ მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის უკეთესი გზები.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის როგორც გრძელვადიან , ისე შუალედურ სასწავლო მიზნებთან მიმართება. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარებას, იძლევა საფუძველს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურებისა, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. მაგალითად, სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში დაგეგმილია ისეთი აქტივობები, რომ მოსწავლემ შეძლოს დაკვირვება , მსჯელობა, არგუმენტირება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, ინფორმაციის მოძიება და დახარისხება... დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების ფარგლებში კომპლექსური დავალების პირობები ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს: მაგალითად, როლური თამაში, კროსვორდის შექმნა, პოსტერის პრეზენტაცია, მაკეტის შექმნა, დღიური, ბუკლეტის შექმნა და სხვ. რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება-ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას. ააქტიურებს ისეთ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, ხასიათი/ნებელობა და სხვ. მნიშვნელოვანია სკოლის მიერ განხორციელებული სასკოლო პროექტებიც სპორტული აქტივობებით, რომელიც მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას, მავნე ჩვევების პრევენციასა და სპორტის როლს განსაზღვრავს ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის. ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალიწინებით გრძელვადიანი და შუალედური სასწავლო მიზნების განხორციელებას. კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს, რომ ძირითადად გააზრებულია ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმას შეესაბამება.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეებისათვის (5 მოსწავლე) ისგ, რაც სკოლის სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნას ეფუძნება და გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებას და დიფერენცირებულ მიდგომას. სასწავლო პროცესისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე , ინტერესებზე და შესაძლებლობებზე ორიენტირება. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლისთვის ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკა თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეთა ინდ გეგმების შემუშავებას. სკოლამ ამ მიმართულებით დოკუმენტებად წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში და სწავლებისას იყენებენ დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. ისინი პრაქტიკაში ხშირად იყენებენ ,,სასწავლო მენიუს", რომელიც განაპირობებს შედეგიან სწავლებას და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებს უწყობს ხელს.

ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას ყველა კლასში და განმსაზღვრელს - V-VI კლასებში. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შეფასების რუბრიკები როგორც ცალკე ისე კომპლექსურ დავალებებში. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებსაც კონკრეტულ თემებთან მიმართებაში წერენ რუბრიკებში. კომპლექსურ დავალებებში ჩანს, მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები მიემართება გრძელვადიან მიზნებსა, განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული , რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სხვადასხვა სახის მეთოდიკური ორიენტირების გამოკვეთას. ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და ეყრდნობა თემატურ კონტექსტებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

კათედრის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები შერჩეულია წინა წლის გამოცდილებით, რაც დაადასტურეს გასაუბრების დროს. წარმოდგენილ მასალებში ასევე იყო მასწავლებლის რეფლექსიის ნიმუში. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები (I-VI კლასები)
- კომპლექსური დავალებები
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი პროგრამები
- პროექტები
- ინკლუზიური განათლების პროგრამა
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

○

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისას ჩანს, რომ საგანმანათლებლო პროცესი აქტიური სწავლა-სწავლების საშუალებით მიმდინარეობს. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი მისიისა და ხედვის მიხედვით, სკოლისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარება წარმოადგენს. სასწავლო თემების დამუშავება მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის დაუფლებას და მის პრაქტიკაში . დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, მასწავლებლები მუშაობენ კომპლექსური

ბუნების დავალებებით, სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში. კურიკულუმებში ისეთი სასწავლო თემები აქვთ შეტანილი, რომლებიც მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, უცხოურ ენებში, - „შინაური ცხოველებს დახატვა/გამოძერწვა“ და პრეზენტაცია, პოსტერის შექმნა წელიწადის დროებზე და ნახატებით/ფოტოებით გაფორმება, სიმულაციური დიალოგი . ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში - ილუსტრირებული საბავშვო მოთხრობის შექმნა, ინტერაქტიული რვეულის შექმნა და სხვა. მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის სხვა საგნებშიც, დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და მასთან გაერთიანებულმა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა პორტფოლიო, რომელშიც აღწერილია დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები, ასევე, მე- 6 კლასში განხორციელებული პროექტი ,,სიტყვის კონა“, რომელიც ეფუძნება საგნობრივ ინტეგრაციას (ქართული, ინგლისური, ხელოვნება) ; რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნულს უზრუნველსაყოფად, კომპლექსური დავალებების გარდა, კათედრის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქვთ სხვადასხვა სახის კლასგარეშე აქტივობებიც - საგანმანათლებლო და ინტელექტუალური თამაშები, შემეცნებითი ღონისძიებები, შეჯიბრები - რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებით საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსურ დავალებების იდეები საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათ განხორციელებას დროის ლიმიტიდან გამომდინარე, ამიტომ პედაგოგებს მიეცათ რჩევა, კურიკულუმებში მიუთითონ კომპლექსური დავალებების რეალურად განხორციელებადი რაოდენობა, რათა სასწავლო პროცესი არ ასცდეს სასკოლო კურიკულუმს.

ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავენ კონსტრუქტივიზმის პრინციპების დაცვით. საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის

შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. პედაგოგები ცდილობენ ყველა თემა მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს დაუკავშირონ, რაც, მათივე განმარტებით, მოსწავლეებს მისცემს წინარე ცოდნის გააქტიურებისა და ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას, წინარე ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება კი მათ დაეხმარება თავად იყვნენ ყოველი ახლის აღმომჩენი და სწავლის უმთავრეს პროცესებზე პასუხისმგებელნი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელებისას მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები მოსწავლეებს ეხმარება წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ მასალასთან კავშირის დამყარებაში, რისთვისაც საკითხის დამუშავებამდე მასწავლებელი არჩევს საინტერესო, მიზნობრივ რესურსებს, სხვადასხვა ინსტრუმენტით/მეთოდით/აქტივობით ადგენს, რა იციან მოსწავლეებმა იმ საკითხის შესახებ, რომლის ახსნასაც აპირებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, მოსწავლეთა ნაცნობი კონტექსტების, გამოცდილების გათვალისწინებით, აწვდის ახალ მასალას, შესაბამისად, ,,ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ გაცნობიერებულად შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა, შეაფასოს და გააკეთოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს ეძლევა მკაფიო ინსტრუქციები, განმავითარებელი შეფასება, რის შედეგადაც იგი აცნობიერებს დაშვებულ შეცდომებს და ეძებს გზებს ნაშრომის გასაუმჯობესებლად. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში, ყოველ ეტაპზე მოსწავლე ფიქრობს და პასუხობს საკვანძო, გეზის მიმცემ შეკითხვებს, რომლებიც ხელს უწყობს მას გააკეთოს საკუთარი სწავლის რეფლექსია: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს და სხვა. ეს შეკითხვები მნიშვნელოვანია, რათა დეტალურად გაანალიზდეს სწავლის პროცესში გადადგმული თითოეული ნაბიჯი, რასაც, შესაბამისად, მოჰყვება უკუკავშირი, როგორც თანაკლასელებისაგან, ისე მასწავლებლისგანაც. გასაუბრებისას

მასწავლებლებმა დაასახელეს კონკრეტული სტრატეგიები (შესასწავლ საკითხში მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოყოფა, ჩანაწერის გაკეთება, მარკირება, შეჯამება, საკითხის მისი სიტყვებით გადმოცემა, მთლიანი მასალის ნაწილებად დაყოფა და მათი სწავლა ნაწილ-ნაწილ და სხვა.), რომლებსაც იყენებენ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშესაწყობად.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული}

საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგვარად, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციას, გარდაქმნის მას პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. მოცემული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმას, სადაც მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა (სასწავლო პროექტებისა და კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე). აღნიშნული დასტურდება განხორციელებული პროექტებითა და მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, რაც აღიწერა პედაგოგებთან გასაუბრების დროს. მაგალითისთვის, აღნიშნულის დასტურია საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით ვიზუალური პროგრამირების პლატფორმებზე (https://studio.code.org/ , www.scratch.mit.edu) შესრულებული დავალებები. მოცემულ პლატფორმებზე მოსწავლემ რომ შეძლოს ობიექტის ანიმირება და გახმოვანება , მას უნდა ჰქონდეს თეორიული ცოდნა ალგორითმზე, ციკლურობაზე, კოდების დანიშნულებაზე , უნდა ფლობდეს პრაქტიკაში ამის გამოყენების უნარს, უნდა შეუძლოს პროდუქტის პრეზენტირება/წარდგენა თანაკლასელებისთვის. მოცემული კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეს მოეთხოვება თემასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებისა და პრეზენტაციისთვის აუცილებელი ფუნქციური გრამატიკის ცოდნა და გამოყენება ცხოვრებისეულ, სოციალურ სიტუაციაში. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო პროექტების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ პროცესებზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები და განახორციელოს კონკრეტული აქტივობები. ბოლო ეტაპზე კი შეძენილი ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის

შესაქმნელად. ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება;

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან, თვითშეფასების დოკუმენტებიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელებისათვის დაგეგმილი აქტივობები ცხადად მიუთითებს ცოდნათა ორგანიზებული ურთიერთდაკავშირების წარმატებულ მცდელობაზე. უნდა აღინიშნოს სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე განხორციელებული აქტივობები (პროექტები, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები) , ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რომლებიც ხელს უწყობს საგანთაშორისი კავშირების განმტკიცებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი, კურიკულუმში ჩაშენებული სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სკოლის სასწავლო გეგმა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო-ცხრილების ანალიზისა და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის, გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში კონკრეტული სავალდებულო თემის ფარგლებში გათვალისწინებულია კომპლექსური და/ან კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელება. საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ არის რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და პოზიტიურ დამოკიდებულებს უყალიბებს სწავლის მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლას აქვს პროექტების განხორციელების გამოცდილებაც, რომელთა თემატიკის შერჩევა ხდება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობირების უნარს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, იმავე მიზანს ემსახურება სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი აქტივობებიც. დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა უმრავლესობა იაზრებს, რომ მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების, აპლიკაციებისა და პროგრამების გამოყენება (ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები და სხვა) ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

საგნობრივი კათედრებს მიერ წარმოდგენილი შეფასებების რუბრიკები უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. ცალ- ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სანდოობას და ვალიდურობას. ასევე, სკოლა ახორციელებს შეფასების სისტემის ვალიდაციას. დაწყებით საფეხურზე ასევე მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის ამსახველი დოკუმენტები სკოლას ცალკეც აქვს წარმოდგენილი და კომპლექსურ დავალებებშიც, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი შფასების კრიტერიუმები, ასევე, პირველი კლასის მოსწავლეთა შესაფასებლად შექმნილი ,,დაკვირვების ფურცელი" ; პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს და ეფექტიანად იყენებენ შეფასების ინსტრუმენტები სასწავლო პროცესში.

ბუნებისმეტყველების პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ხშირად მოსწავლეებთან ერთად განიხილავენ თუ რა ინფორმაციაა მნიშვნელოვანი, რისი ცოდნაა აუცილებლი და შესაბამისად ამას იყენებენ განმავითარებელ შეფასებისას, უკუკავშირის დროს. ასევე მე-5 და მე-6 კლასებში წინასწარ აცნობენ თუ რაში შეფასდებიან და როგორ. შეფასების სისტემა არის ვალიდური და აქვთ სტანდარტზე მორგებული შეფასების რუბრიკები. ეს კი ხელს უწყობს დაწყებით საფეხურზე შეფასების ვალიდურობასა და გამჭვირვალობას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომლებშიც მოცემულია სტანდარტის სამიზნე ცნებები თავისი შედეგებით, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლემ უნდა დააკმაყოფილოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათი, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების მნიშვნელობა და ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა

ინდიკტორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით რეგულირდება შეფასების ის მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. ვალიდურობის

უპირველეს ინსტრუმენტებად დასახელებულია სწავლა სწავლების შეფასების ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე და მათზე დაფუძნებით შეფასების რუბრიკების შემუშავება. სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებისთვის შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებსაც მასწავლებლები წინასწარ და აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს, შესაბამისად, მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას, წარმოადგენდეს მათი სწავლის პროცესის რეფლექსიას, არის მკაფიო და გაზომვადი, დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. **„სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“.**

სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება - შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალებას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებელნი არიან აღმასრულებელი დირექტორი, შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელი და/ან შემმოწმებელი მასწავლებელი (ვერიფიკატორი) და საგნის მასწავლებელი. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ,, შპს „სკოლა ახალი თაობის“ შიდა შეფასების/შემოწმების (ვერიფიკაციის) წესი“, რომელშიც აღნიშნულია , რომ ვერიფიკაცია მოიცავს სამ ეტაპს: 1. შეფასების დაგეგმვა 2. შედეგების შეფასება 3. უკუკავშირის მიწოდება შემფასებლებისათვის. დოკუმენტში დანართების სახითაა წარმოდგენილი ცხრილები, რომლებიც თვალსაჩინოდ ასახავს შეფასების ვერიფიკაციასთან დაკავშირებულ პროცესებს.

როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, სისტემატურად მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და გამოცდილების გაზიარება.

ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშში, რომელშიც ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო მოსწავლეების შეფასება სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, ხოლო განხილვაში ჩართულმა მხარეებმა უნდა გამოავლინონ გასაუმჯობესებელი მიმართულებები და განსაზღვრონ პრობლემების აღმოფხვრის გზები.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების /ინფორმაციის /მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

სკოლამ ასევე წარმოადგინა მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც შეფასებულია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პორტფოლიოები
- სკოლის სასწავლო გეგმა
- კურიკულუმები
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები.
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო**

სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლის ყველა რგოლი ჩართულია სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვაში. მშობლებს სხვადასხვა აქტივობებში ჩართვის საშუალება აქვთ . სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად მსჯელობენ პრობლემების გადაჭრის გზებზე . საგნობრივ კათედრებთან ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, ისიც რომ სკოლას აქვს მშობელთა გაკვეთილებზე დასწრების პრაქტიკაც. კათედრის წევრი პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ და უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს, რაც გამოიხატება ურთიერთდასწრებასა და უკუკავშირის მიწოდებაში. სკოლა დაწყებით საფეხურზე ახორციელებს ახლომდებარე ტერიტორიაზე ექსკურსიებს, მუზეუმებში ვიზიტებს და ა.შ. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასკოლო საზოგადოება ერთობლივად ზრუნავს სკოლის განვითარებაზე, სკოლაში თითოეული მოსწავლე აღიარებული და დაფასებულია და სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებაზე.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად**

სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობები - ფორმალური და არაფორმალური ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, დიაგნოსტიკური წერები, რაც ადასტურებს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ორიენტირება ხდება მოსწავლეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. შესასწავლი თემების, საკითხების თანმიმდევრობა ემსახურება ცოდნის ეტაპობრივად, მარტივიდან რთულისაკენ ზრდას. მოსწავლეთა შეფასებები მორგებულია გრძელვადიან მიზნებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. განმავითარებელი შეფასებები მოსწავლეებს მიეწოდებათ ისე, რომ ჩანდეს შესრულებული სამუშაოს დადებითი და გამოსასწორებელი მხარეები.

სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად მიმდინარე სასწავლო პროცესის დროს შემხვედრ საჭიროებებზე სკოლა მოქნილად რომ რეაგირებს, ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სკოლის სასწავლო გეგმაში აღწერილი რემედიაციის პროგრამა რომლის ფარგლებშიც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს პროგრამას დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმს , გარდა ამისა, ხელს უწყობს იმ მოსწავლეებსაც, როლებსაც სემესტრის განმავლობაში შეექმნათ სირთულეები კონკრეტულ საგანში კონკრეტული თემის/საკითხის/ შესწავლისას. რემედიაციის პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ

მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს იმ შემთხვევაში, თუ მათ არ აქვთ იმ საგნის წინმსწრები მასალა გავლილი, რომლის გავლაც უწევთ სკოლაში ჩარიცხვის შემთხვევაში. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლას დანერგილი აქვს შინ სწავლება მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართება.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ურთიერთთანამშრომლობის დადებითი ასპექტები. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, ხდება გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება, კათედრის წევრებს შორის უკუკავშირი. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა/კათედრები ქმნიან სასკოლო/საგნობრივ კურიკულუმებს, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართულია როგორც დირექცია, ასევე პედაგოგები და მშობლები. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია ჩართულ მხარეთა ფუნქცია-მოვალეობებიც. შესაძლებელია ითქვას, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება სასკოლო საზოგადოების წევრთა თანამშრომლობის რეჟიმში ხდება, აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა კი გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე**

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის, სადაც შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. სასკოლო საზოგადოების წევრები პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატის ჩამოყალიბების მიზნით კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებიდან მიღებულ ინფორმაციას, ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პოზიტიური საკლასო გარემოს უმნიშვნელოვანესი ნაწილია მასწავლებელი, რომელიც პატივისცემასა და მზრუნველობას ამჟღავნებს მოსწავლეების მიმართ. მოსწავლისა და მასწავლებლის პოზიტიური ურთიერთობა კი დადებით გავლენას ახდენს კლასის მართვის პროცესზე, მოსწავლის მოტივაციაზე, ემოციურ სტაბილურობასა და მოსწრებაზე.

ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის ჩარჩოები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლის ისგ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლას შემუშავებული აქვს ,,კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მონიტორინგსა და შეფასებას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას , მიმდინარეობს თუ არა შემუშავებული გეგმის შესაბამისად პროცესები, ხოლო შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. დირექტორის მოადგილე აწარმოებს დაკვირვებას საგაკვეთილო პროცესზე, აანალიზებენ კათედრების სხდომების ოქმებს, მასწავლებელთა საჭიროებებს მათი თვითშეფასებისა და მოსწავლეთა თვითშეფასებების საფუძველზე. ამდენად, სკოლა მზადაა უპასუხოს დასმულ კითხვებს მის მიერ განსაზღვრული მონიტორინგის სისტემით მონიტორინგი უნდა დაიგეგმოს და გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმაში. უნდა აღიწეროს რა ინსტრუმენტებით, რა ვადაში და ვინ განახორციელებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგს და როდის, რა პერიოდში და ვის მიერ მოხდება დანერგვის პროცესის შეფასება მოსწავლის, მშობლისა და სკოლის დონეზე .

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სასწავლო აქტივობების დაგეგმვა და ორგანიზება, პრობლემების გამოკვეთა სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი საკითხების განხილვა, სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელება. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემადგენელი აქტივობებია. ეს აქტივობები საშუალებას აძლევს კათედრებს, გააანალიზონ მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია და მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებები დაგეგმონ და განახორციელონ: შეიმუშაონ და განახორციელონ რემედიაციის პროგრამები, შეიმუშაონ მოსწავლეთა საჭიროების შესაბამისი ინდივიდუალური თუ ჯგუფური დამატებითი მეცადინეობის გეგმები და სხვა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას და, ასევე, მოტივაციის ამაღლებას. დაწყებითი საფეხურის კათედრის ანგარიშიდან ჩანს, რომ ჩატარებული შემაჯამებელი წერის შედეგებით გამოიკვეთა ტესტის პირობის გააზრებაში გამოწვევები იმ მოსწავლეებში, ვინც ქართულ ენას კარგად ვერ ფლობს. მიღებული შედეგების გაანალიზებით სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრამ შეიმუშავა დამატებითი გაკვეთილების გეგმა და სხვა დამატებითი აქტივობები. გარდა მოსწავლეთა მხარდაჭერისა და დახმარებისა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მხარდამჭერი მექანიზმი, კერძოდ, კვლევების საფუძველზე ხდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შიდა თუ გარე მექანიზმების დახმარებით, რომელიც ამტკიცებს , რომ სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა სკოლისთვის პრიორიტეტულია.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;

სკოლას კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს კურიკულუმის მონიტორინგი და რევიზია, რაც პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს, შეგროვილ მონაცემებს აანალიზებენ კათედრის სხდომებზე, პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას, ახდენენ რესურსების ვალიდაციას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. სასწავლო პროცესის დროს წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებას სკოლა პრიორიტეტულ საკითხად თვლის. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემათა გადაჭრის გზას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ გაკვეთილებზე დასწრება, დაკვირვება და მიღებული უკუკავშირი ეხმარება მათ, შეიმუშაონ წარმოქმნილი სირთულეების დაძლევის საშუალებები. სკოლა ცდილობს დახვეწოს და განავითაროს კურიკულუმები და შეფასების ინსტრუმენტები სუსტი მხარეების გამოვლენით და მათი გაუმჯობესებით. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები კარგად იაზრებენ ამის აუცილებლობას და

პროცესის მხარდასაჭერად გამოთქვამენ მზაობას. მათ მტკიცებულებად აქვთ წარმოდგენილი თვითრეფლექსიები, კომპლექსური დავალებები ანალიზი და შემაჯამებელი დავალებები, სკოლაში დანერგილია ურთიერთდასწრება და თვითშეფასება, ასევე, აქვთ ,,დაკვირვების ფურცლები“.

ინდიკატორი 2. 3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის დოკუმენტი
- კათედრის ოქმი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- გაკვეთილზე დასწრების ფორმები
- რემედიაციის პროგრამა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ პროცესების, მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესის შეფასება დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის პროცესშიც და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისასაც ხორციელდება. გასაუბრებით გაირკვა , რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან განმსაზღვრელ შეფასებას, ხოლო მანამდე- განმავითარებელს, აქვთ ჯგუფური მუშობისა და განმავითარებელი შეფასებების გამოყენების გამოცდილება, რომლის ამსახველი დოკუმენტაციაც სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა. ამის მაგალითებია: სოლო ტაქსონომიაზე დაფუძნებული ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკა, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, შეჯამების ჩარჩო, მოსწავლეთა თვითშეფასების ბარათები და ა.შ.

ინდიკატორი 2.3.2.1 . დაკმაყოფილებულია

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის სამოქმედო გეგმიდან და სასკოლო სასწავლო კურიკულუმიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ კომპლექსური დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს უმაღლებს მოტივაციას და პირობისეული ცოდნის შეძენას უწყობს ხელს. განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში კი ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, შეფასების რუბრიკები, გათვალისწინებულია შესაბამისი კონტექსტები, რათა კარგად წარმოჩნდეს მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესები და შესაძლებლობები. ასევე, ჰოლისტური შეფასების მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ სოლო ტაქსონომიაზე დაფუძნებული რუბრიკა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთება , რომ განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ საკამაოდ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, როგორებიცაა: რეზიუმე, ერთწუთიანი ესე, სამწუთიანი პაუზა, ანალოგიები და ა. შ.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლა აქტიურად იყენებს არაფორმალური განათლების აქტივობებს, საიდანაც ხდება მოსწავლეების სწავლის შესახებ მონაცემების შეგროვება; ასევე, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალფეროვან მეთოდებზე დაყრდნობით. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სკოლა გეგმავს, ყველა კლასში, მეორედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, ჩაატაროს მოსწავლეთა დიაგნოსტირება, რაც კათედრის წევრებთან ინტერვიურების დროსაც დადასტურდა. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს ჩატარებული აქვთ საჭიროებათა კვლევები მონაცემთა შეგროვების მიზნით. გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის ყველაზე ტიპური და გამოყენებადი საგანმანათლებლო სფეროში : მშობელთა გამოკითხვა, ინტერვიუ, ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფი. წარმოდგენილი აქვთ ე.წ. ,,დაკვირვების ფურცლები (I კლასი) პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ამ მიმართულებით საკმაოდ ეფექტიანად მუშაობენ , რაც ეხმარებათ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის

შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. შესაბამისად,

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები

შეფასების რუბრიკები

- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- პროექტის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, რომელშიც გაწერილია ვადები განვითარების ეტაპების შესაბამისად. პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, როგორ უნდა განხორციელდეს პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების აუცილებლობა, ვერიფიკაცია, გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობები და გამოთქვამენ მზაობას, ხელი შეუწყონ აღნიშნული მექანიზმის განხორციელების პროცესს.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი შეფასების ჯგუფის ფუნქციები, რაც ითვალისწინებს კვლევებს, მონიტორინგს და შეფასებას, რომელთა შედეგებიც სკოლას საშუალებას აძლევს შეიტანოს გარკვეული ცვლილებები მომდევნო წლის კურიკულუმებში. რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ამიტომ ეს ფაქტორი შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება, მათ შორის კომპლექსური დავალებების მორგება კლასზე, შესაბამისი რესურსების მოძიება, ძველის ახლით ჩანაცვლება და სხვა. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე ცოდნასა და მათსავე წარმატებულ გამოცდილებას, აგრეთვე, მიღწეულ საუკეთესო შედეგებს. ამ მიზნით პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ ,,კრიტიკული მეგობრის“ დასწრებას, ითვალისწინებენ მის უკუკავშირს.

ასევე, ერთად აანალიზებენ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებს, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისთვის კი მათ უგზავნიან გამოკითხვის ფორმას, კვლევის შედეგები ეხმარება კურიკულუმის ახალი ვერსიის დამუშავებაში . (კვლევის შედეგები თვალსაჩინოდ აქვთ წარმოდგენილი დიაგრამებში დოკუმენტში ,,მშობელთა კმაყოფილების კითხვარი“)

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- მშობელთა კმაყოფილების კითხვარი
- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი -საბაზო საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლა ,,ახალ თაობას“ შემუშავებული აქვს ,,კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეფექტიანი სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისათვის სკოლამ უნდა იხელმძღვანელოს ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივი ჯგუფის მიზნებით/კომპეტენციებით. ამ დოკუმენტის პირველი ნაწილიდან ჩანს, რომ კათედრების მიერ შემუშავდა საგნობრივი კურიკულუმები, იდეების გაცვლის, მსჯელობის საფუძველზე მოხდა საბოლოო ვერსიაზე შეჯერება. საბაზო საფეხურის პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტული საკითხების გათვალისწინებას. დეტალურად ისაუბრეს ვინ, როგორ და რატომ არის ჩართული კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში. დოკუმენტში აღნიშნულია ძირითადი პრიორიტეტები, როგორებიცაა მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულობა, ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში ტოლერანტი, შემოქმედი, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი მოსწავლის აღზრდა. კომპლექსური დავალებები და

აქტივობები, რომლებიც ჩაშენებულია მათემატიკის მიმართულებით ყველა კლასის კურიკულუმში, მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების დადგენა მოხდა მოსწავლეთა ნამუშევრების შედეგების ანალიზის საფუძველზე. შედეგების ანალიზის შესაბამისად მოხდა კურიკულუმების მოდიფიცირება და ეს ციკლურ პროცესს წარმოადგენს სკოლისთვის და კათედრებისთვის. ის, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ასევე დასტურდება ჩატარებული კვლევებიდან, რომელთა შესახებაც კითხვარები (მშობლისთვის, მასწავლებლისთვის) სკოლას ნიმუშების სახით აქვს წარმოდგენილი. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ პედაგოგებს კათედრაზე განაწილებული აქვთ ფუნქციები , შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რაც მიზნად ისახავს ყველას ჩართულობასა და მათი შეხედულებების გათვალისწინებას. საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოები გვიჩვენებს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება- კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სკოლა ამუშავებს შუალედური მიზნებს, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. ყოველივე აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან როგორც თემატურ საკითხებზე, ისე შეფასების ინსტრუმენტებზე. ისინი წინა სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და მიგნებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლას გაცნობიერებული აქვს სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენლის ინტერესების ასახვის აუცილებლობა კურიკულუმებში, ამიტომ მათი შემუშავებისას ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. საბაზო საფეხურზე პედაგოგები აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს, გადაწყვეტილებებისას ითვალისწინებენ მშობლებისგან მიღებულ ინფორმაციასაც. ,,კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“ აღნიშნულია მასწავლებლებსა და კათედრის ხელმძღვანელებს ვალდებულებები ამ მიმართულებით. ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებას, იმ რეკომენდაციების გათვალისწინებას, რომელსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. დოკუმენტში გაწერილია, რომ დაწესებულებას ევალება დააკვირდეს საკუთარ გამოცდილებასა და შესაძლებლობებს, ყურადღება მიაქციოს სასკოლო საზოგადოების დაკვეთას, გარე შეფასების მექანიზმების მოთხოვნებს, განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასების შედეგებს. სასკოლო საზოგადოების დაკვეთას სკოლა განსაზღვრავს გამოკითხვებისა და/ან ფოკუს ჯგუფებიდან ამოღებული

ინფორმაციის საშუალებით. ეს ყველაფერი კი იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ კურიკულუმებში სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია. ამის დასტურია ის, რომ სკოლაში ფუნქციონირებს საშაბათო სკოლა საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის და, ასევე, ხორციელდება მენტალური არითმეტიკის პროგრამა, სხვადასხვ მიმართულების კლუბები .

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ მის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით (დირექცია, მასწავლებლები). ამ ჯგუფმა ჩაატარა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გაანალიზების და კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნა სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები. სკოლის პრაქტიკაა სასკოლო საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაცია და გამოკითხვების ჩატარება. მიმდინარე სასწავლო წელს მოხდა მშობელთა კმაყოფილების კვლევა, მშობლებს საშუალება ჰქონდათ შეეფასებინათ სადამრიგებლო პროგრამა და დამრიგებლის მუშაობა აღნიშნული კითხვარის შედეგები დამუშავდა და შედეგები გამოყენებული იქნება სადამრიგებლო პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

საგნობრივი კათედრები მჭიდროდ თანამშრომლობენ სამივე საფეხურზე , კათედრებში გაერთიანებულნი არიან ორი ან სამი საგნის პედაგოგები(ქართული ენისა და ლიტერატურისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგები) ისინი ერთად გეგმავენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს . გარდა ამისა, სხვა კათედრების თანამშრომლებთან ერთადაც განიხილავენ პრობლემურ საკითხებს. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუსას განაცხადეს, ერთმანეთს უთანხმებენ შესასწავლ თემებსა და საკითხებს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, კომპლექსური დავალებების იდეებს და მათ განხორციელებას, ერთობლივად ზრუნავენ საჭირო ძირითადი რესურსებზე შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მშობელთა კრებაზე განიხილავენ მშობლების მოსაზრებებს და მათგან მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ კურიკულუმების შემუშავებისას. მშობლის ჩართულობის საკითხი კარგად ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,, კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია“.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი-www.skolaaxalitaoba.ge, სადაც იტვირთება ყველა სიახლე და მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რაც უკავშირდება სკოლას. ასევე დასტურდება, რომ შემუშავებული და განხორციელებული კურიკულუმების გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოებისათვის კიდევ სხვა საშუალებებით, კერძოდ, სოციალური მედიით, ბეჭდვითი მასალებით, საინფორმაციო დაფებით , კლასების დახურულ ჯგუფებში. სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი და აქტიური გვერდი სოციალურ ქსელში (https://www.facebook.com/skolaakhalitaoba), რომლითაც უზრუნველყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებასა და უკუკავშირის მიღებას სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან და სხვა დაინტერესებული პირებისგან.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთა კრების ოქმი;
- კათედრის ოქმი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კვლევის კითხვარები მშობლებისა და მასწავლებლებისთვის ;
- საშაბათო სკოლისა დს მენტალური არითმეტიკის პროგრამა;
- ვებგვერდი-www.skolaaxalitaoba.ge
- სოციალური ქსელი-https://www.facebook.com/skolaakhalitaoba

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

საბაზო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმში კარგად ჩანს მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და დანერგვის მექანიზმებზე. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები გვიჩვენებს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება , კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, სკოლის შუალედური მიზნები უკავშირდება შესაბამის სასწავლო შინაარსს. მაგალითად, მე- 7 კლასში ქართული **ენისა და ლიტერატურის** კათედრის მიერ შემოთავაზებულია კომპლექსური დავალების იდეები : პერსონაჟის დახასიათება ,,ვეფხისტყაოსნის“ სწავლებისას (ყველაზე საინტერესო პერსონაჟი; პერსონაჟი, რომელიც არ მომეწონა; პერსონაჟი ვისთანაც ვიმეგობრებდი; ყველაზე სასაცილო პერსონაჟი),“ და ესე- ,,რა არის სამშობლო და რა შემიძლია გავაკეთო მისთვის ახლა, ან მომავალში “შემოთავაზებულია საკმაოდ მდიდარი მასალა: გუგული მგელაძის ფილმის ჩვენება (,,ჰელედოსი“), ასევე , მხატვრული ფილმი ,,სისხლი“(VII კლასი); ნოდარ დუმბაძის ,,ბოშების“ სწავლებისას რეჟისორ ლეილა გორდელაძის კინოფილმ ,,ჩემი ბოშების“ ჩვენება (VIIIკლასი);, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს: მრავალფეროვან კონტექსტ მაგალითებსა და დამატებით რესურსებს . შემოთავაზებულია საკმაოდ მდიდარი მასალა, როგორიცაა ვიდეო ფილმები, სხვადასხვა ტიპის მაორგანიზებელი სქემები, თვალსაჩინოებები, აუდიო თუ ვიზუალური მასალა...

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებში და აქტივობებში, მაგალითად **ინგლისური ენაში** საბაზო საფეხურის ფრანგული ენის მერვე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება ითვალისწინებს ისეთი პროდუქტის შექმნას, როგორიცაა უცხოელი მეგობრისთვის გასვლითი პროგრამის დაგეგმვა, პროგრამა შეუძლიათ სასურველ ფორმატში წარმოადგინონ, ასევე სასურველ თემაზე, ეს შეიძლება იყოს როგორც კულტურული, ასევე სპორტული თუ გასართობი ღონისძიებები. გარდა იმისა, რომ მოსწავლეს შეუძლია აირჩიოს საბოლოო პროდუქტს რა სახით წარადგენს, ამავე დროს, პრეზენტაციის დროს, ის გამოიყენებს იმ ენობრივ საშუალებებს და მიმართავს იმ სამეტყველო ქმედებას, რაც მოსწავლის საკომუნიკაციო უნარებს განავითარებს. გარდა ამისა, მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებში, მაგალითად ინგლისური ენა ისტორიის კათედრასთან ერთად ამ საფეხურზე დაგეგმა ერთობლივი პროექტი, საქართველოს ევროპულ მისწრაფებასთან დაკავშირებით, სადავ მოსწავლეებმა აღნიშნული თემატიკის ფარგლებში პრეზენტაციებზე იმუშავეს, ფრანგულისა და გერმანული ენის მასწავლებლებმა ერთობლივად განახორციელეს მშობლების ჩართულობით გამწვანების აქცია, აღნიშნული მიდგომა , რომელიც ასევე მოსწავლეთა არაფორმალურ განათლებაში და მათ სხვადასხვა პროექტებში ჩართულობას მოიაზრებს .

აღსანიშნავია ისი, რომ საბაზო კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში ზოგან შეიმჩნეოდა თემების, სამიზნე ცნებების, საკითხებისა და კომპლექსური დავალებების იდეების ურთიერთმიმართებაში ბუნდოვანება , მაგალითად, მე-8 კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებად გაწერილია ,,ტიპები", რაც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტის მოთხოვნებს, ამიტომ ინტერვიუს დროს პედაგოგებს მიეცათ რჩევები აღნიშნულთან დაკავშირებით; ინტერვიუს შემდეგ მათ დამატებით დოკუმენტად წარმოადგინეს შესწორებული კურიკულკუმები და გამოთქვეს მზაობა, რომ უფრო ყურადღებით და დეტალურად განიხილავდნენ ყველა კლასის კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს. შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგები მზად არიან, ერთად შეიმუშაონ მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის უკეთესი გზები.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის როგორც გრძელვადიან , ისე შუალედურ სასწავლო მიზნებთან მიმართება. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარებას, იძლევა საფუძველს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურებისა, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. მაგალითად, სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში დაგეგმილია ისეთი აქტივობები, რომ მოსწავლემ შეძლოს დაკვირვება , მსჯელობა, არგუმენტირება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, ინფორმაციის მოძიება და დახარისხება... საბაზო საფეხურის უცხოური ენების ფარგლებში კომპლექსური დავალების პირობები ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს: მაგალითად, როლური თამაში, კროსვორდის შექმნა, პოსტერის პრეზენტაცია, მაკეტის შექმნა, დღიური, ბუკლეტის შექმნა და სხვ. რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება-ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას. ააქტიურებს ისეთ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, ხასიათი/ნებელობა და სხვ. **მათემატიკის** კათედრის მიერ გლობალური-ფუნქციური უნარების განსავითარებლად წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია პროექტების განხორციელების შესახებ. მაგალითად, მეშვიდე კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალება უკავშირდება მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, სხვადასხვა სახით წარმოდგენას და დასკვნების გამოტანას. **უცხოური ენების** კურიკულუმების უმეტესობა გამდიდრებულია კომპლექსური დავალებებით, შესაბამისად, სასწავლო პროცესი ძირითადად მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს, რომ მეტწილად გააზრებულია ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმას შეესაბამება. საბაზო საფეხურის როგორც პირველი უცხოური ენის (ინგლისური), ასევე მეორე (რუსული, ფრანგული) და მესამე (გერმანული, ფრანგული) უცხოური ენების ფარგლებში კომპლექსური დავალების პირობები ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს: მაგალითად, ვიდეორგოლის ჩაწერა, კროსვორდის შექმნა, როლური თამაში, პოსტერის პრეზენტაცია, მაკეტის შექმნა, დღიური, ბუკლეტის შექმნა და სხვ. ააქტიურებს ისეთ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, ხასიათი/ნებელობა და სხვ. **ქართული ენისა და ლიტერატურის** საბაზო საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის როგორც გრძელვადიან , ისე შუალედურ სასწავლო მიზნებთან მიმართება. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარებას.

მაგალითად, სკოლის მიერ წარმოდგენილია კომპლექსური დავალება: დებატები თემაზე ,,სტერეოტიპები ადამიანის ცხოვრებაში'' , რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი და კომუნიკაციის უნარების განვითარებას, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას.

ამავე მიზნებს ემსახურება მე-9 კლასში ილია ჭავჭავაძის მოთხრობა ,,სარჩობელაზედ'' სწავლებისას შემოთავაზებული კომპლექსური დავალების პირობა: წარმოსახვითი ინტერვიუს დაწერა ი. ჭავჭავაძის მოთხრობის ,,სარჩობელაზედ'' პერსონაჟ პეტრესთან. მოცემული დავალების განხორციელებისას მუშავდება ისეთი სამიზნე ცნებები, როგორებიცაა ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ- გამომსახველობითი საშუალებები, კომპოზიცია. აღნიშნული ნიმუშები საბაზო საფეხურზე ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალიწინებით გრძელვადიანი და შუალედური სასწავლო მიზნების განხორციელებას

მნიშვნელოვანია სკოლის მიერ განხორციელებული სასკოლო პროექტებიც სპორტული აქტივობებით, რომელიც მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას, მავნე ჩვევების პრევენციასა და სპორტის როლს განსაზღვრავს ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის. ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალიწინებით გრძელვადიანი და შუალედური სასწავლო მიზნების განხორციელებას. კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს, რომ ძირითადად გააზრებულია ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმას შეესაბამება.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეებისათვის (5 მოსწავლე) ისგ, რაც სკოლის სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნას ეფუძნება და გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებას და დიფერენცირებულ მიდგომას. სასწავლო პროცესისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე , ინტერესებზე და შესაძლებლობებზე ორიენტირება. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლისთვის ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკა თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეთა ინდ გეგმების შემუშავებას. სკოლამ ამ მიმართულებით დოკუმენტებად წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში და სწავლებისას იყენებენ დიფერენცირებული სწავლების

პრინციპებს. ისინი პრაქტიკაში ხშირად იყენებენ ,,სასწავლო მენიუს“, რომელიც განაპირობებს შედეგიან სწავლებას და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებს უწყობს ხელს.

ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა : ესეს, პრეზენტაციის, თხზულების, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციების , დისკუსიის, აგრეთვე, ჯგუფური მუშაობის. მათ , აგრეთვე შემუშავებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები კონკრეტულ თემებთან მიმართებაში (მაგალითად, **ქართული ენა და ლიტერატურის კათედრი**ს მიერ წარმოდგენილი მე-7 კლასში პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა ნოდარ დუმბაძის ,,ჰელადოსის“ სწავლებისას, ასევე, მე-9 კლასში - ბრბოს ფსიქოლოგიაზე). ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებსაც კონკრეტულ თემებთან მიმართებაში წერენ რუბრიკებში სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შეფასების რუბრიკები როგორც ცალკე ისე კომპლექსურ დავალებებში, ასევე გამოიყენებენ სოლო ტაქსონომიით შეფასებას. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებსაც კონკრეტულ თემებთან მიმართებაში წერენ რუბრიკებში. კომპლექსურ დავალებებში ჩანს, მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები მიემართება გრძელვადიან მიზნებსა, განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული , რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სხვადასხვა სახის მეთოდიკური ორიენტირების გამოკვეთას. ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და ეყრდნობა თემატურ კონტექსტებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები შერჩეულია წინა წლის გამოცდილებით, რაც დაადასტურეს გასაუბრების დროს. წარმოდგენილ მასალებში ასევე იყო მასწავლებლის რეფლექსიის ნიმუში. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები (I-VI კლასები)
- კომპლექსური დავალებები
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი პროგრამები
- პროექტები
- ინკლუზიური განათლების პროგრამა
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
-

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისას ჩანს, რომ საგანმანათლებლო პროცესი აქტიური სწავლა-სწავლების საშუალებით მიმდინარეობს. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი მისიისა და ხედვის მიხედვით, სკოლისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარება წარმოადგენს. სასწავლო თემების დამუშავება მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში როგორც ფაქტობრივი

და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის დაუფლებას და მის პრაქტიკაში . საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, მასწავლებლები მუშაობენ კომპლექსური ბუნების დავალებებით, სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში. კურიკულუმებში ისეთი სასწავლო თემები აქვთ შეტანილი, რომლებიც მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, უცხოურ ენებში, - პრეზენტაცია, პოსტერის შექმნა წელიწადის დროებზე და ნახატებით/ფოტოებით გაფორმება, სიმულაციური დიალოგი . ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში - პოსტერების შექმნა, კვლევები, ინტერაქტიული რვეულის შექმნა და სხვა. მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი საბაზო საფეხურის სხვა საგნებშიც, საბაზო საფეხურის ქართული ენისა და მასთან გაერთიანებულმა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა პორტფოლიო, რომელშიც აღწერილია დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები, მაგალითად: მე-7 კლასში ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილი, რომელიც მოიცავს სამ საგანს: ქართულ ენასა და ლიტერატურას, რუსულ ენას და ფრანგულისგაკვეთილის თემა ,,მოგზაურობა იგავთა სამყაროში“. სკოლაში წარმატებულად მუშაობს ,,მკითხველთა კლუბი“ მისი წევრების მიერ საინტერესოდ იყო დაგეგმილი ,,წიგნის საჯაროდ კითხვის დღე“, მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი აქტივობა სლოგანით: იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო! ასევე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნულს უზრუნველსაყოფად, კომპლექსური დავალებების გარდა, კათედრის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქვთ სხვადასხვა სახის კლასგარეშე აქტივობებიც - საგანმანათლებლო და ინტელექტუალური თამაშები, შემეცნებითი ღონისძიებები, შეჯიბრები - რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სკოლის საბაზო საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავენ კონსტრუქტივიზმის პრინციპების დაცვით. საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. პედაგოგები ცდილობენ ყველა თემა მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს დაუკავშირონ, რაც, მათივე განმარტებით, მოსწავლეებს მისცემს წინარე ცოდნის გააქტიურებისა და ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას, წინარე ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება კი მათ დაეხმარება თავად იყვნენ ყოველი ახლის აღმომჩენი და სწავლის უმთავრეს პროცესებზე პასუხისმგებელნი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელებისას მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები მოსწავლეებს ეხმარება წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ მასალასთან კავშირის დამყარებაში, რისთვისაც საკითხის დამუშავებამდე მასწავლებელი არჩევს საინტერესო, მიზნობრივ რესურსებს, სხვადასხვა ინსტრუმენტით/მეთოდით/აქტივობით ადგენს, რა იციან მოსწავლეებმა იმ საკითხის შესახებ, რომლის ახსნასაც აპირებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, მოსწავლეთა ნაცნობი კონტექსტების, გამოცდილების გათვალისწინებით, აწვდის ახალ მასალას, შესაბამისად, ,,ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

საბაზო საფეხურზე, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ გაცნობიერებულად შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა, შეაფასოს და გააკეთოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს ეძლევა მკაფიო ინსტრუქციები, განმავითარებელი შეფასება, რის შედეგადაც იგი აცნობიერებს დაშვებულ შეცდომებს და ეძებს გზებს ნაშრომის გასაუმჯობესებლად. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში, ყოველ ეტაპზე მოსწავლე ფიქრობს და პასუხობს საკვანძო, გეზის მიმცემ შეკითხვებს, რომლებიც ხელს უწყობს მას გააკეთოს საკუთარი სწავლის რეფლექსია: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა

წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს და სხვა. ეს შეკითხვები მნიშვნელოვანია, რათა დეტალურად გაანალიზდეს სწავლის პროცესში გადადგმული თითოეული ნაბიჯი, რასაც, შესაბამისად, მოჰყვება უკუკავშირი, როგორც თანაკლასელებისაგან, ისე მასწავლებლისგანაც. გასაუბრებისას მასწავლებლებმა დაასახელეს კონკრეტული სტრატეგიები (შესასწავლ საკითხში მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოყოფა, ჩანაწერის გაკეთება, მარკირება, შეჯამება, საკითხის მისი სიტყვებით გადმოცემა, მთლიანი მასალის ნაწილებად დაყოფა და მათი სწავლა ნაწილ-ნაწილ და სხვა.), რომლებსაც იყენებენ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშესაწყობად.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული}

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგვარად, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციას, გარდაქმნის მას პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. მოცემული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმას, სადაც მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა (სასწავლო პროექტებისა და კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე). აღნიშნული დასტურდება განხორციელებული პროექტებითა და მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, რაც აღიწერა პედაგოგებთან გასაუბრების დროს. მაგალითისთვის, აღნიშნულის დასტურია საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით ვიზუალური პროგრამირების პლატფორმებზე (https://studio.code.org/ , www.scratch.mit.edu) შესრულებული დავალებები. მოცემულ პლატფორმებზე მოსწავლემ რომ შეძლოს ობიექტის ანიმირება და გახმოვანება , მას უნდა ჰქონდეს თეორიული ცოდნა ალგორითმზე, ციკლურობაზე, კოდების დანიშნულებაზე , უნდა ფლობდეს პრაქტიკაში ამის გამოყენების უნარს, უნდა შეუძლოს პროდუქტის პრეზენტირება/წარდგენა თანაკლასელებისთვის. მოცემული კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეს მოეთხოვება თემასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებისა და პრეზენტაციისთვის აუცილებელი ფუნქციური გრამატიკის ცოდნა და გამოყენება ცხოვრებისეულ, სოციალურ სიტუაციაში. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპლექსური

დავალებებისა და სასწავლო პროექტების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ პროცესებზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები და განახორციელოს კონკრეტული აქტივობები. ბოლო ეტაპზე კი შეძენილი ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება;

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან, თვითშეფასების დოკუმენტებიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელებისათვის დაგეგმილი აქტივობები ცხადად მიუთითებს ცოდნათა ორგანიზებული ურთიერთდაკავშირების წარმატებულ მცდელობაზე. უნდა აღინიშნოს სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე განხორციელებული აქტივობები (პროექტები, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები) , ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რომლებიც ხელს უწყობს საგანთაშორისი კავშირების განმტკიცებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი, კურიკულუმში ჩაშენებული სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სკოლის სასწავლო გეგმა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო-ცხრილების ანალიზისა და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის, გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში კონკრეტული სავალდებულო თემის ფარგლებში გათვალისწინებულია კომპლექსური და/ან კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელება. საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ არის რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და პოზიტიურ დამოკიდებულებს უყალიბებს სწავლის მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლას აქვს პროექტების განხორციელების გამოცდილებაც, რომელთა თემატიკის შერჩევა ხდება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობირების უნარს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, იმავე მიზანს ემსახურება სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი აქტივობებიც. საბაზო საფეხურის პედაგოგთა უმრავლესობა იაზრებს, რომ მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების, აპლიკაციებისა და პროგრამების გამოყენება (ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები და სხვა) ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

საგნობრივი კათედრებს მიერ წარმოდგენილი შეფასებების რუბრიკები უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. ცალ- ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სანდოობას და ვალიდურობას. ასევე, სკოლა ახოციელებს შეფასების სისტემის ვალიდაციას. საბაზო საფეხურზე ასევე მნიშვნელოვანია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლის ამსახველი დოკუმენტები სკოლას ცალკეც აქვს წარმოდგენილი დაკომპლექსურ დავალებებშიც, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი შფასების კრიტერიუმები; პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს და ეფექტიანად იყენებენ შეფასების ინსტრუმენტები სასწავლო პროცესში.

ბუნებისმეტყველების პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ხშირად მოსწავლეებთან ერთად განიხილავენ თუ რა ინფორმაციაა მნიშვნელოვანი, რისი ცოდნაა აუცილებლი და შესაბამისად ამას იყენებენ განმავითარებელ შეფასებისას, უკუკავშირის დროს. მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ თუ რაში შეფასდებიან და როგორ. შეფასების სისტემა არის ვალიდური და აქვთ სტანდარტზე მორგებული შეფასების რუბრიკები. ეს კი ხელს უწყობს საბაზო საფეხურზე შეფასების ვალიდურობასა და გამჭვირვალობას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომლებშიც მოცემულია სტანდარტის სამიზნე ცნებები თავისი შედეგებით, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლემ უნდა დააკმაყოფილოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების მნიშვნელობა და ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა

ინდიკტორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით რეგულირდება შეფასების ის მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. ვალიდურობის უპირველეს ინსტრუმენტებად დასახელებულია სწავლა სწავლების შეფასების ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე და მათზე დაფუძნებით შეფასების რუბრიკების შემუშავება. სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებისთვის შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებსაც მასწავლებლები წინასწარ და აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს, შესაბამისად, მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას, წარმოადგენდეს მათი სწავლის პროცესის რეფლექსიას, არის მკაფიო და გაზომვადი, დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. **„სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“.**

სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება - შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და

მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალებას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებელნი არიან აღმასრულებელი დირექტორი, შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელი და/ან შემმოწმებელი მასწავლებელი (ვერიფიკატორი) და საგნის მასწავლებელი. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ,, შპს ,,სკოლა ახალი თაობის" შიდა შეფასების/შემოწმების (ვერიფიკაციის) წესი", რომელშიც აღნიშნულია , რომ ვერიფიკაცია მოიცავს სამ ეტაპს: 1. შეფასების დაგეგმვა 2. შედეგების შეფასება 3. უკუკავშირის მიწოდება შემფასებლებისათვის. დოკუმენტში დანართების სახითაა წარმოდგენილი ცხრილები, რომლებიც თვალაჩინოდ ასახავს შეფასების ვერიფიკაციასთან დაკავშირებულ პროცესებს.

როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, სისტემატურად მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და გამოცდილების გაზიარება.

ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშში, რომელშიც ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო მოსწავლეების შეფასება სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, ხოლო განხილვაში ჩართულმა მხრეებმა უნდა გამოავლინონ გასაუმჯობესებელი მიმართულებები და განსაზღვრონ პრობლემების აღმოფხვრის გზები.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების /ინფორმაციის /მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია,

სკოლამ ასევე წარმოადგინა მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც შეფასებულია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები. მასწავლებლებმა ინტერვიუსას

აღნიშნეს, რომ უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პორტფოლიოები
- სკოლის სასწავლო გეგმა
- კურიკულუმები
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები.
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო**

სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლის ყველა რგოლი ჩართულია სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვაში. მშობლებს სხვადასხვა აქტივობებში ჩართვის საშუალება აქვთ . სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად მსჯელობენ პრობლემების გადაჭრის გზებზე . საგნობრივ კათედრებთან ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, ისიც რომ სკოლას აქვს მშობელთა გაკვეთილებზე დასწრების პრაქტიკაც. კათედრის წევრი პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ და უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს, რაც გამოიხატება ურთიერთდასწრებასა და უკუკავშირის მიწოდებაში. სკოლა ახორციელებს ახლომდებარე ტერიტორიაზე ექსკურსიებს, მუზეუმებში ვიზიტებს და ა.შ. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასკოლო საზოგადოება ერთობლივად ზრუნავს სკოლის განვითარებაზე, სკოლაში თითოეული მოსწავლე აღიარებული და დაფასებულია და სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებაზე.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად**

სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობები - ფორმალური და არაფორმალური ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, დიაგნოსტიკური წერები, რაც ადასტურებს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას.

კათედრების წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ორიენტირება ხდება მოსწავლეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. შესასწავლი თემების, საკითხების თანმიმდევრობა ემსახურება ცოდნის ეტაპობრივად, მარტივიდან რთულისაკენ ზრდას.

მოსწავლეთა შეფასებები მორგებულია გრძელვადიან მიზნებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. განმავითარებელი შეფასებები მოსწავლეებს მიეწოდებათ ისე, რომ ჩანდეს შესრულებული სამუშაოს დადებითი და გამოსასწორებელი მხარეები.

სასკოლო კურიკულუმის შაბამისად მიმდინარე სასწავლო პროცესის დროს შემხვედრ საჭიროებებზე სკოლა მოქნილად რომ რეაგირებს, ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სკოლის სასწავლო გეგმაში აღწერილი რემედიაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს პროგრამას დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმს , გარდა ამისა, ხელს უწყობს იმ მოსწავლეებსაც, როლებსაც სემესტრის განმავლობაში შეექმნათ სირთულეები კონკრეტულ საგანში კონკრეტული თემის/საკითხის/ შესწავლისას . რემედიაციის პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს იმ შემთხვევაში, თუ მათ არ აქვთ იმ საგნის წინმსწრები მასალა გავლილი, რომლის გავლაც უწევთ სკოლაში ჩარიცხვის შემთხვევაში. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლას დანერგილი აქვს შინ სწავლება მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართება.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ურთიერთთანამშრომლობის დადებითი ასპექტები. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, ხდება გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება, კათედრის წევრებს შორის უკუკავშირი. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა/კათედრები ქმნიან სასკოლო/საგნობრივ კურიკულუმებს, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართულია როგორც დირექცია, ასევე პედაგოგები და მშობლები. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია ჩართულ მხარეთა ფუნქცია-მოვალეობებიც. შესაძლებელია ითქვას, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება სასკოლო საზოგადოების წევრთა თანამშრომლობის რეჟიმში ხდება, აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა კი გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. აღნიშნულიდან

გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე**

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის, სადაც შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. სასკოლო საზოგადოების წევრები პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატის ჩამოყალიბების მიზნით კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებიდან მიღებულ ინფორმაციას, ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პოზიტიური საკლასო გარემოს უმნიშვნელოვანესი ნაწილია მასწავლებელი, რომელიც პატივისცემასა და მზრუნველობას ამჟღავნებს მოსწავლეების მიმართ. მოსწავლისა და მასწავლებლის პოზიტიური ურთიერთობა კი დადებით გავლენას ახდენს კლასის მართვის პროცესზე, მოსწავლის მოტივაციაზე, ემოციურ სტაბილურობასა და მოსწრებაზე.

ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის ჩარჩოები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლის ისგ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლას შემუშავებული აქვს ,,კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მონიტორინგსა და შეფასებას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას , მიმდინარეობს თუ არა შემუშავებული გეგმის შესაბამისად პროცესები, ხოლო შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. დირექტორის მოადგილე აწარმოებს დაკვირვებას საგაკვეთილო პროცესზე, აანალიზებენ კათედრების სხდომების ოქმებს, მასწავლებელთა საჭიროებებს მათი თვითშეფასებისა და მოსწავლეთა თვითშეფასებების საფუძველზე. ამდენად, სკოლა მზადაა უპასუხოს დასმულ კითხვებს მის მიერ განსაზღვრული მონიტორინგის სისტემით მონიტორინგი უნდა დაიგეგმოს და გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმაში. უნდა აღიწეროს რა ინსტრუმენტებით, რა

ვადაში და ვინ განახორციელებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგს და როდის, რა პერიოდში და ვის მიერ მოხდება დანერგვის პროცესის შეფასება მოსწავლის, მშობლისა და სკოლის დონეზე .

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სასწავლო აქტივობების დაგეგმვა და ორგანიზება, პრობლემების გამოკვეთა სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი საკითხების განხილვა, სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელება. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემადგენელი აქტივობებია. ეს აქტივობები საშუალებას აძლევს კათედრებს, გააანალიზონ მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია და მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებები დაგეგმონ და განახორციელონ: შეიმუშაონ და განახორციელონ რემედიაციის პროგრამები, შეიმუშაონ მოსწავლეთა საჭიროების შესაბამისი ინდივიდუალური თუ ჯგუფური დამატებითი მეცადინეობის გეგმები და სხვა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას და, ასევე, მოტივაციის ამაღლებას. საბაზო საფეხურის კათედრის ანგარიშიდან ჩანს, რომ ჩატარებული შემაჯამებელი წერის შედეგებით გამოიკვეთა ტესტის პირობის გააზრებაში გამოწვევები იმ მოსწავლეებში, ვინც ქართულ ენას კარგად ვერ ფლობს. მიღებული შედეგების გაანალიზებით სკოლის საბაზო საფეხურის კათედრამ შეიმუშავა დამატებითი გაკვეთილების გეგმა და სხვა დამატებითი აქტივობები. გარდა მოსწავლეთა მხარდაჭერისა და დახმარებისა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მხარდამჭერი მექანიზმი, კერძოდ, კვლევების საფუძველზე ხდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შიდა თუ გარე მექანიზმების დახმარებით, რომელიც ამტკიცებს , რომ სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა სკოლისთვის პრიორიტეტულია.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;

სკოლას კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს კურიკულუმის მონიტორინგი და რევიზია, რაც პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში

პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს, შეგროვილ მონაცემებს ანალიზებენ კათედრის სხდომებზე, პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას, ახდენენ რესურსების ვალიდაციას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. სასწავლო პროცესის დროს წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებას სკოლა პრიორიტეტულ საკითხად თვლის. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემათა გადაჭრის გზას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ გაკვეთილებზე დასწრება, დაკვირვება და მიღებული უკუკავშირი ეხმარება მათ , შეიმუშაონ წარმოქმნილი სირთულეების დაძლევის საშუალებები. სკოლა ცდილობს დახვეწოს და განავითაროს კურიკულუმები და შეფასების ინსტრუმენტები სუსტი მხარეების გამოვლენით და მათი გაუმჯობესებით. საბაზო საფეხურის მასწავლებლები კარგად იაზრებენ ამის აუცილებლობას და პროცესის მხარდასაჭერად გამოთქვამენ მზაობას. მათ მტკიცებულებად აქვთ წარმოდგენილი თვითრეფლექსიები, კომპლექსური დავალებები ანალიზი და შემაჯამებელი დავალებები, სკოლაში დანერგილია ურთიერთდასწრება და თვითშეფასება, ასევე, აქვთ ,,დაკვირვების ფურცლები“.

ინდიკატორი 2. 3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის დოკუმენტი
- კათედრის ოქმი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- გაკვეთილზე დასწრების ფორმები
- რემედიაციის პროგრამა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ პროცესების, მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესის შეფასება საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის პროცესშიც და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისასაც ხორციელდება. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია . ამის მაგალითებია: სოლო ტაქსონომიაზე დაფუძნებული ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკა, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, შეჯამების ჩარჩო, მოსწავლეთა თვითშეფასების ბარათები და ა.შ.

ინდიკატორი 2.3.2.1 . დაკმაყოფილებულია

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის სამოქმედო გეგმიდან და სასკოლო სასწავლო კურიკულუმიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ კომპლექსური დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს უმაღლებს მოტივაციას და პირობისეული ცოდნის შეძენას უწყობს ხელს. განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში კი ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, შეფასების რუბრკები, გათვალისწინებულია შესაბამისი კონტექსტები, რათა კარგად წარმოჩნდეს მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესები და შესაძლებლობები. ასევე, ჰოლისტური შეფასების მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ სოლო ტაქსონომიაზე დაფუძნებული რუბრიკა. სკოლის მიერ წარმოგდენილ დოკუმენტაციაში იკვეთება , რომ განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ საკმაოდ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, როგორებიცაა: რეზიუმე, ერთწუთიანი ესე, სამწუთიანი პაუზა, ანალოგიები და ა. შ.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლა აქტიურად იყენებს არაფორმალური განათლების აქტივობებს, საიდანაც ხდება მოსწავლეების სწავლის შესახებ მონაცემების შეგროვება; ასევე, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალფეროვან მეთოდებზე დაყრდნობით. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სკოლა გეგმავს, ყველა კლასში, მეორედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, ჩაატაროს მოსწავლეთა დიაგნოსტირება, რაც კათედრის წევრებთან ინტერვიურების დროსაც დადასტურდა. საბაზო საფეხურის მასწავლებლებს ჩატარებული აქვთ საჭიროებათა კვლევები მონაცემთა შეგროვების მიზნით. გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის ყველაზე ტიპური და გამოყენებადი საგანმანათლებლო სფეროში : მშობელთა გამოკითხვა, ინტერვიუ, ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფი. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ამ მიმართულებით საკმაოდ ეფექტიანად მუშაობენ , რაც ეხმარებათ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. შესაბამისად,

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები

შეფასების რუბრიკები

- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- პროექტის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, რომელშიც გაწერილია ვადები განვითარების ეტაპების შესაბამისად. პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, როგორ უნდა განხორციელდეს პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების აუცილებლობა, ვერიფიკაცია, გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობები და გამოთქვამენ მზაობას, ხელი შეუწყონ აღნიშნული მექანიზმის განხორციელების პროცესს.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი შეფასების ჯგუფის ფუნქციები, რაც ითვალისწინებს კვლევებს, მონიტორინგს და შეფასებას, რომელთა შედეგებიც სკოლას საშუალებას აძლევს შეიტანოს გარკვეული ცვლილებები მომდევნო წლის კურიკულუმებში. რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ამიტომ ეს ფაქტორი შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება, მათ შორის კომპლექსური დავალებების მორგება კლასზე, შესაბამისი რესურსების მოძიება, ძველის ახლით ჩანაცვლება და სხვა. საბაზო საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე ცოდნასა და მათსავე წარმატებულ გამოცდილებას, აგრეთვე, მიღწეულ საუკეთესო შედეგებს. ამ მიზნით პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ ,,კრიტიკული მეგობრის“ დასწრებას, ითვალისწინებენ მის უკუკავშირს. ასევე, ერთად აანალიზებენ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებს, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისთვის კი მათ უგზავნიან გამოკითხვის ფორმას, კვლევის შედეგები ეხმარება კურიკულუმის ახალი ვერსიის დამუშავებაში . (კვლევის შედეგები თვალსაჩინოდ აქვთ წარმოდგენილი დიაგრამებში დოკუმენტში ,,მშობელთა კმაყოფილების კითხვარი“)

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- მშობელთა კმაყოფილების კითხვარი
- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება

	(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი -საშუალო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლა ,,ახალ თაობას“ შემუშავებული აქვს ,,კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეფექტიანი სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისათვის სკოლამ უნდა იხელმძღანელოს ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივი ჯგუფის მიზნებით/კომპეტენციებით. ამ დოკუმენტის პირველი ნაწილიდან ჩანს, რომ კათედრების მიერ შემუშავდა საგნობრივი კურიკულუმები, იდეების გაცვლის, მსჯელობის საფუძველზე მოხდა საბოლოო ვერსიაზე შეჯერება. საშუალო საფეხურის პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტული საკითხების გათვალისწინებას. დეტალურად ისაუბრეს ვინ, როგორ და რატომ არის ჩართული კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში. დოკუმენტში აღნიშნულია ძირითადი პრიორიტეტები, როგორებიცაა მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულობა, ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში ტოლერანტი, შემოქმედი, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი მოსწავლის აღზრდა. კომპლექსური დავალებები და აქტივობები, რომლებიც ჩაშენებულია მათემატიკის მიმართულებით ყველა კლასის კურიკულუმში, მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების დადგენა მოხდა მოსწავლეთა ნამუშევრების

შედეგების ანალიზის საფუძველზე. შედეგების ანალიზის შესაბამისად მოხდა კურიკულუმების მოდიფიცირება და ეს ციკლურ პროცესს წარმოადგენს სკოლისთვის და კათედრებისთვის. ის, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ასევე დასტურდება ჩატარებული კვლევებიდან, რომელთა შესახებაც კითხვარები (მშობლისთვის, მასწავლებლისთვის) სკოლას ნიმუშების სახით აქვს წარმოდგენილი. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ პედაგოგებს კათედრაზე განაწილებული აქვთ ფუნქციები , შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რაც მიზნად ისახავს ყველას ჩართულობასა და მათი შეხედულებების გათვალისწინებას. საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოები გვიჩვენებს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება- კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სკოლა ამუშავებს შუალედური მიზნებს, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. ყოველივე აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან როგორც თემატურ საკითხებზე, ისე შეფასების ინსტრუმენტებზე. ისინი წინა სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და მიგნებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლას გაცნობიერებული აქვს სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენლის ინტერესების ასახვის აუცილებლობა კურიკულუმებში, ამიტომ მათი შემუშავებისას ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. საშუალო საფეხურზე პედაგოგები აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს, გადაწყვეტილებებისას ითვალისწინებენ მშობლებისგან მიღებულ ინფორმაციასაც. ,,კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“ აღნიშნულია მასწავლებლებსა და კათედრის ხელმძღვანელებს ვალდებულებები ამ მიმართულებით. ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებას, იმ რეკომენდაციების გათვალისწინებას, რომელსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. დოკუმენტში გაწერილია, რომ დაწესებულებას ევალება დააკვირდეს საკუთარ გამოცდილებასა და შესაძლებლობებს, ყურადღება მიაქციოს სასკოლო საზოგადოების დაკვეთას, გარე შეფასების მექანიზმების მოთხოვნებს, განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასების შედეგებს. სასკოლო საზოგადოების დაკვეთას სკოლა განსაზღვრავს გამოკითხვებისა და/ან ფოკუს ჯგუფებიდან ამოღებული ინფორმაციის საშუალებით. ეს ყველაფერი კი იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ კურიკულუმებში სასკოლო საზოგადოების

ინტერესები გათვალისწინებულია. ამის დასტურია ის, რომ სკოლაში ფუნქციონირებს საშაბათო სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის და, ასევე, ხორციელდება მენტალური არითმეტიკის პროგრამა, სხვადასხვ მიმართულების კლუბები .

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ მის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით (დირექცია, მასწავლებლები). ამ ჯგუფმა ჩაატარა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გაანალიზების და კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნა სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები. სკოლის პრაქტიკაა სასკოლო საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაცია და გამოკითხვების ჩატარება. მიმდინარე სასწავლო წელს მოხდა მშობელთა კმაყოფილების კვლევა, მშობლებს საშუალება ჰქონდათ შეეფასებინათ სადამრიგებლო პროგრამა და დამრიგებლის მუშაობა აღნიშნული კითხვარის შედეგები დამუშავდა და შედეგები გამოყენებული იქნება სადამრიგებლო პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

საგნობრივი კათედრები მჭიდროდ თანამშრომლობენ სამივე საფეხურზე , კათედრებში გაერთიანებულნი არიან ორი ან სამი საგნის პედაგოგები(ქართული ენისა და ლიტერატურისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგები) ისინი ერთად გეგმავენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს . გარდა ამისა, სხვა კათედრების თანამშრომლებთან ერთადაც განიხილავენ პრობლემურ საკითხებს. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუსას განაცხადეს, ერთმანეთს უთანხმებენ შესასწავლ თემებსა და საკითხებს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, კომპლექსური დავალებების იდეებს და მათ განხორციელებას, ერთობლივად ზრუნავენ საჭირო ძირითადი რესურსებზე შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მშობელთა კრებაზე განიხილავენ მშობლების მოსაზრებებს და მათგან მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ კურიკულუმების შემუშავებისას. მშობლის ჩართულობის საკითხი კარგად ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,, კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია“.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი-www.skolaaxalitaoba.ge, სადაც იტვირთება ყველა სიახლე და მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რაც უკავშირდება სკოლას. ასევე დასტურდება, რომ შემუშავებული და განხორციელებული კურიკულუმების

გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოებისათვის კიდევ სხვა საშუალებებით, კერძოდ, სოციალური მედიით, ბეჭდვითი მასალებით, საინფორმაციო დაფებით , კლასების დახურულ ჯგუფებში. სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი და აქტიური გვერდი სოციალურ ქსელში (https://www.facebook.com/skolaakhalitaoba), რომლითაც უზრუნველყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებასა და უკუკავშირის მიღებას სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან და სხვა დაინტერესებული პირებისგან.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთა კრების ოქმი;
- კათედრის ოქმი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კვლევის კითხვარები მშობლებისა და მასწავლებლებისთვის ;
- საშაბათო სკოლისა დს მენტალური არითმეტიკის პროგრამა;
- ვებგვერდი-www.skolaaxalitaoba.ge
- სოციალური ქსელი-https://www.facebook.com/skolaakhalitaoba

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

საშუალო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმში კარგად ჩანს მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და დანერგვის მექანიზმებზე. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები გვიჩვენებს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება , კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, სკოლის შუალედური მიზნები უკავშირდება შესაბამის სასწავლო შინაარსს. მაგალითად, მე-10 კლასში **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრის მიერ შემოთავაზებულია კომპლექსური დავალების იდეები- პერსონაჟის უბის წიგნაკის შექმნა (იოვანე საბანისძის ,,აბო თბილელის წამების“ სწავლებისას) და სინთეზური ესე- ,, ადამიანები, რომლებიც ერთგულობენ რწმენას, პრინციპებს, საკუთარ შეხედულებებს და სიცოცხლის ფასად იცავენ მათ-გმირებად ირაცხებიან“- საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ კურიკულუმები იგეგმება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. ამასთან ერთად, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს: მრავალფეროვან კონტექსტ მაგალითებსა და დამატებით რესურსებს . შემოთავაზებულია საკმაოდ მდიდარი მასალა: გიორგი ალიბეგაშვილის წერილი,,ნერსე დიდი, ძე ადარნასე კურაპალატისა“; მიზნობრივი ინტერნეტ მასალა ,,ტელესკოლიდან“ ; ლევან გიგინეიშვილი-რუსთაველის პორტრეტი https://www.youtube.com/watch?v=nIqkNYR1vCU (X კლასი); ინგა გოგიბერიძის ,,ემიგრანტის დღიური“, ქართული ფილმი ,,ოთარაანთ ქვრივი“ (XI კლასი); სატელევიზიო სპეკტაკლი და მხატვრული ფილმი: ,,ყვარყვაარე თუთაბერი", გი დე მოპასანის ნოველა: ,,ფუნთუშა" (XII კლასი). შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზაა. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს: მრავალფეროვან კონტექსტ მაგალითებსა და დამატებით რესურსებს . შემოთავაზებულია საკმაოდ მდიდარი მასალა, როგორცაა ვიდეო ფილმები, სხვადასხვა ტიპის მაორგანიზებელი სქემები, თვალსაჩინოებები, აუდიო თუ ვიზუალური მასალა...

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებში და აქტივობებში, მაგალითად **ინგლისური ენაში** საშუალო საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური

დავალება ითვალისწინებს ისეთი პროდუქტის შექმნას, როგორიცაა ესე, პოსტერი, დებატები, რეკლამა და სხვ. შეუძლიათ სასურველ ფორმატში წარმოადგინონ, ასევე სასურველ თემაზე, ეს შეიძლება იყოს როგორც კულტურული, ასევე სპორტული თუ გასართობი ღონისძიებები. გარდა იმისა, რომ მოსწავლეს შეუძლია აირჩიოს საბოლოო პროდუქტს რა სახით წარადგენს, ამავე დროს, პრეზენტაციის დროს, ის გამოიყენებს იმ ენობრივ საშუალებებს და მიმართავს იმ სამეტყველო ქმედებას, რაც მოსწავლის საკომუნიკაციო უნარებს განავითარებს. გარდა ამისა, მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებში, მაგალითად სამი მოსწავლე, რომლებიც განსაკუთრებით კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას, საელჩოს ლიდერთა პროგრამით გაემგზავრა ამერიკაში, ცოდნის ასამაღლებლად.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის როგორც გრძელვადიან , ისე შუალედურ სასწავლო მიზნებთან მიმართება. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარებას, იძლევა საფუძველს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურებისა, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. მაგალითად, სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში დაგეგმილია ისეთი აქტივობები, რომ მოსწავლემ შეძლოს დაკვირვება , მსჯელობა, არგუმენტირება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, ინფორმაციის მოძიება და დახარისხება... საშუალო საფეხურის უცხოური ენების ფარგლებში კომპლექსური დავალების პირობები ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს: მაგალითად, როლური თამაში, კროსვორდის შექმნა, პოსტერის პრეზენტაცია, მაკეტის შექმნა, დღიური, ბუკლეტის შექმნა და სხვ. რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება-ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას. ააქტიურებს ისეთ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, ხასიათი/ნებელობა და სხვ. **მათემატიკის** კათედრის მიერ გლობალური-ფუნქციური უნარების განსავითარებლად წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია პროექტების განხორციელების შესახებ. მაგალითად, მეშვიდე კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალება უკავშირდება მონაცემების შეგროვებას,

დამუშავებას, სხვადასხვა სახით წარმოდგენას და დასკვნების გამოტანას.**საბუნებისმეტყველო** საგნების კურიკულუმში, ხშირ შემთხვევაში ჩადებულია საინფორმაციო ტექსტები,სიმულაციები (Mutation | Biology Simulations) ფიზიკის სწავლებისას ასევე გამოიეყენება ვირტუალური ლაბორატორია (დავით სონღულაშვილის ავტორობით) ქიმიის სწავლების დროსაც ხდება ელ.რესურსების გამოყენება.მაგ,ისეთის როგორიცაა https://phet.colorado.edu/ka/ . ქართული და ინგლისურენოვანი ვიდეო ანიმაციები. **უცხო ენების** კურიკულუმების უმეტესობა გამდიდრებულია კომპლექსური დავალებებით, შესაბამისად, სასწავლო პროცესი ძირითადად მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს, რომ მეტწილად გააზრებულია ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმას შეესაბამება. საშუალოსაფეხურის როგორც პირველი უცხოური ენის (ინგლისური), ასევე მეორე (რუსული, ფრანგული) და მესამე (გერმანული, ფრანგული) უცხოური ენების ფარგლებში კომპლექსური დავალების პირობები ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს: მაგალითად, ვიდეორგოლის ჩაწერა, კროსვორდის შექმნა, როლური თამაში, პოსტერის პრეზენტაცია, მაკეტის შექმნა, დღიური, ბუკლეტის შექმნა და სხვ. ააქტიურებს ისეთ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, ხასიათი/ნებელობა და სხვ. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრის მიერ საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარებას. მაგალითად, სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალება ,,ინტერვიუ მწერალთან“ (დავით კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვალი“ - მე-12 კლასი) ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი და კომუნიკაციის უნარების განვითარებას, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას. ეფექტიანი სწავლებისთვის შემოთავაზებულია დამხმარე რესურსები : დავით კლდიაშვილის ,,სოლომან მორბელაძე“; ,,ქამუშაძის გაჭირვება“, მხატვრ. ფილმი ,,სამანიშვილის დედინაცვალი“. მე-11 კლასის კურიკულუმში გაწერილია კომპლექსური დავალების პირობა ,, პერსონაჟის ხედვის კუთხის შეცვლა“ (ილია ჭავჭავაძის ,,ოთარაანთ ქვრივის“სწავლებისას) მიემართება ისეთი სამიზნე ცნებებს, როგორებიცაა ჟანრი, კომპოზიცია, კონტექსტი, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალიწინებით გრძელვადიანი და შუალედური სასწავლო მიზნების განხორციელებას. კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის როგორც გრძელვადიან , ისე შუალედურ სასწავლო მიზნებთან მიმართება. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარებას. მაგალითად, სკოლის მიერ წარმოდგენილია კომპლექსური დავალება: დებატები თემაზე ,,სტერეოტიპები ადამიანის ცხოვრებაში“ , რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი და კომუნიკაციის უნარების განვითარებას, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანია სკოლის მიერ განხორციელებული სასკოლო პროექტებიც სპორტული აქტივობებით, რომელიც მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას, მავნე ჩვევების პრევენციასა და სპორტის როლს განსაზღვრავს ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის. ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალიწინებით გრძელვადიანი და შუალედური სასწავლო მიზნების განხორციელებას. კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს, რომ ძირითადად გააზრებულია ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმას შეესაბამება.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეებისათვის (5 მოსწავლე) ისგ, რაც სკოლის სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნას ეფუძნება და გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებას და დიფერენცირებულ მიდგომას. სასწავლო პროცესისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე , ინტერესებზე და შესაძლებლობებზე ორიენტირება. მაგ როდესაც კლასში სწავლობს არაქართულენოვანი მოსწავლე საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ ყველამ შეძლოს მასში მონაწილეობის მიღება, მასწავლებლები იყენებენ საპრეზენტაციო მასალებს, მოდელების შესაქმნელად სხვადასხვა რესურსს, საინფორმაციო ტექსტებს, ლაბორატორიას მოსწავლეთა პრაქტიკულ აქტივობებში ჩასართავად და ა.შ . წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლისთვის ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკა თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეთა ინდ გეგმების შემუშავებას. სკოლამ ამ მიმართულებით დოკუმენტებად წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში და სწავლებისას იყენებენ დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. ისინი პრაქტიკაში ხშირად იყენებენ ,,სასწავლო მენიუს“, რომელიც განაპირობებს შედეგიან სწავლებას და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებს უწყობს ხელს.

ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

საშუალო საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა : ესეს, პრეზენტაციის, თხზულების, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციების , დისკუსიის, აგრეთვე, ჯგუფური მუშაობის. მათ , აგრეთვე შემუშავებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები კონკრეტულ თემებთან მიმართებაში (მაგალითად, **ქართული ენა და ლიტერატურის კათედრა**ს შემუშავებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები კონკრეტულ თემებთან მიმართებაში. მაგალითად, მე-10 კლასში გვხვდება ესეების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (სინთეზური ესე-,, ადამიანები, რომლებიც ერთგულობენ რწმენას, პრინციპებს, საკუთარ შეხედულებებს და სიცოცხლის ფასად იცავენ მათ - გმირებად ირაცხებიან“ და ესე- „გმირი და ანტიგმირი შუა საუკუნეების ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებსა და ჩვენს თანამედროვეობაში“) , განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასებების რუბრიკა (იაკობ ხუცესის ,,შუშანიკის წამების“ სწავლებისას) . ხოლო მე-11 კლასში მტკიცებულებადაა წარმოდგენილი ასევე განმსაზღვრელი შეფასება ანალიტიკური ესესი : ,,წარსულის განცდა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში“. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებსაც კონკრეტულ თემებთან მიმართებაში წერენ რუბრიკებში. კომპლექსურ დავალებებში ჩანს, მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები მიემართება გრძელვადიან მიზნებსა, ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და ეყრდნობა თემატურ კონტექსტებს. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებსაც კონკრეტულ თემებთან მიმართებაში წერენ რუბრიკებში სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შეფასების რუბრიკები როგორც ცალკე ისე კომპლექსურ დავალებებში, ასევე გამოიყენებენ სოლო ტაქსონომიით შეფასებას. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებსაც კონკრეტულ თემებთან მიმართებაში წერენ რუბრიკებში. კომპლექსურ დავალებებში ჩანს, მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები მიემართება გრძელვადიან მიზნებსა, განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული , რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სხვადასხვა სახის მეთოდიკური ორიენტირების გამოკვეთას. ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და ეყრდნობა თემატურ კონტექსტებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, შეიძლება

ითქვას, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები შერჩეულია წინა წლის გამოცდილებით, რაც დაადასტურეს გასაუბრების დროს. წარმოდგენილ მასალებში ასევე იყო მასწავლებლის რეფლექსიის ნიმუში. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები (I-VI კლასები)
- კონპლექსური დავალებები
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი პროგრამები
- პროექტები
- ინკლუზიური განათლების პროგრამა
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა

- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
-

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისას ჩანს, რომ საგანმანათლებლო პროცესი აქტიური სწავლა-სწავლების საშუალებით მიმდინარეობს. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი მისიისა და ხედვის მიხედვით,

სკოლისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარება წარმოადგენს. სასწავლო თემების დამუშავება მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის დაუფლებას და მის პრაქტიკაში . საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, მასწავლებლები მუშაობენ კომპლექსური ბუნების დავალებებით, სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში. კურიკულუმებში ისეთი სასწავლო თემები აქვთ შეტანილი, რომლებიც მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, უცხოურ ენებში, - პრეზენტაცია, პოსტერის შექმნა წელიწადის დროებზე და ნახატებით/ფოტოებით გაფორმება, სიმულაციური დიალოგი . ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში - პოსტერების შექმნა, კვლევები, ინტერაქტიული რვეულის შექმნა და სხვა. მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი საშუალო საფეხურის სხვა საგნებშიც, საშუალო საფეხურის სახელმწიფო ენის კათედრამ , საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრასთან ერთად, წარმოადგინა პორტფოლიო, რომელშიც აღწერილია დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები. მაგალითად: ,,ქართულ ხელნაწერთა კვალდაკვალ“ -სტუმრად ხელნაწერთა ინსტიტუტში; სკოლაში წარმატებულად მუშაობს ,,მკითხველთა კლუბი“ მისი წევრების მიერ საინტერესოდ იყო დაგეგმილი ,,წიგნის საჯაროდ კითხვის დღე“, მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი აქტივობა სლოგანით: იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო! სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეების მიერ ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებების გამომეტყველებითი კითხვა (ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურები, გალაკტიონ ტაბიძის ლექსები, ცისფერყანწელები). საშუალო საფეხურზე სკოლის პედაგოგებმა მტკიცებულებად წარმოადგინეს მოსწავლეთა პრეზენტაციები ასევე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნულს უზრუნველსაყოფად, კომპლექსური დავალებების გარდა, კათედრის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქვთ სხვადასხვა სახის კლასგარეშე აქტივობებიც - საგანმანათლებლო და ინტელექტუალური თამაშები, შემეცნებითი ღონისძიებები, შეჯიბრები - რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სკოლის საშუალო საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავენ კონსტრუქტივიზმის პრინციპების დაცვით. საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. პედაგოგები ცდილობენ ყველა თემა მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს დაუკავშირონ, რაც, მათივე განმარტებით, მოსწავლეებს მისცემს წინარე ცოდნის გააქტიურებისა და ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას, წინარე ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება კი მათ დაეხმარება თავად იყვნენ ყოველი ახლის აღმომჩენი და სწავლის უმთავრეს პროცესებზე პასუხისმგებელნი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელებისას მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები მოსწავლეებს ეხმარება წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ მასალასთან კავშირის დამყარებაში, რისთვისაც საკითხის დამუშავებამდე მასწავლებელი არჩევს საინტერესო, მიზნობრივ რესურსებს, სხვადასხვა ინსტრუმენტით/მეთოდით/აქტივობით ადგენს, რა იციან მოსწავლეებმა იმ საკითხის შესახებ, რომლის ახსნასაც აპირებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, მოსწავლეთა ნაცნობი კონტექსტების, გამოცდილების გათვალისწინებით, აწვდის ახალ მასალას, შესაბამისად, ,,ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

საშუალო საფეხურზე, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ გაცნობიერებულად შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა, შეაფასოს და გააკეთოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს ეძლევა მკაფიო ინსტრუქციები, განმავითარებელი შეფასება, რის შედეგადაც იგი აცნობიერებს დაშვებულ შეცდომებს და ეძებს გზებს ნაშრომის გასაუმჯობესებლად.

კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში, ყოველ ეტაპზე მოსწავლე ფიქრობს და პასუხობს საკვანძო, გეზის მიმცემ შეკითხვებს, რომლებიც ხელს უწყობს მას გააკეთოს საკუთარი სწავლის რეფლექსია: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს და სხვა. ეს შეკითხვები მნიშვნელოვანია, რათა დეტალურად გაანალიზდეს სწავლის პროცესში გადადგმული თითოეული ნაბიჯი, რასაც, შესაბამისად, მოჰყვება უკუკავშირი, როგორც თანაკლასელებისაგან, ისე მასწავლებლისგანაც. გასაუბრებისას მასწავლებლებმა დაასახელეს კონკრეტული სტრატეგიები (შესასწავლ საკითხში მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოყოფა, ჩანაწერის გაკეთება, მარკირება, შეჯამება, საკითხის მისი სიტყვებით გადმოცემა, მთლიანი მასალის ნაწილებად დაყოფა და მათი სწავლა ნაწილ-ნაწილ და სხვა.), რომლებსაც იყენებენ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშესაწყობად.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული}

საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგვარად, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციას, გარდაქმნის მას პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. მოცემული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმას, სადაც მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა (სასწავლო პროექტებისა და კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე). აღნიშნული დასტურდება განხორციელებული პროექტებითა და მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, რაც აღიწერა პედაგოგებთან გასაუბრების დროს. მაგალითისთვის, აღნიშნულის დასტურია საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით ვიზუალური პროგრამირების პლატფორმებზე (https://studio.code.org/ , www.scratch.mit.edu) შესრულებული დავალებები. მოცემულ პლატფორმებზე მოსწავლემ რომ შეძლოს ობიექტის ანიმირება და გახმოვანება , მას უნდა ჰქონდეს თეორიული ცოდნა ალგორითმზე, ციკლურობაზე, კოდების დანიშნულებაზე , უნდა ფლობდეს პრაქტიკაში ამის გამოყენების უნარს, უნდა შეუძლოს

პროდუქტის პრეზენტირება/წარდგენა თანაკლასელებისთვის. მოცემული კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეს მოეთხოვება თემასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებისა და პრეზენტაციისთვის აუცილებელი ფუნქციური გრამატიკის ცოდნა და გამოყენება ცხოვრებისეულ, სოციალურ სიტუაციაში. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპლექსური დავალებისა და სასწავლო პროექტების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ პროცესებზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები და განახორციელოს კონკრეტული აქტივობები. ბოლო ეტაპზე კი შეძენილი ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება;

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან, თვითშეფასების დოკუმენტებიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელებისათვის დაგეგმილი აქტივობები ცხადად მიუთითებს ცოდნათა ორგანიზებული ურთიერთდაკავშირების წარმატებულ მცდელობაზე. უნდა აღინიშნოს სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე განხორციელებული აქტივობები (პროექტები, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები) , ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რომლებიც ხელს უწყობს საგანთაშორისი კავშირების განმტკიცებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი, კურიკულუმში ჩაშენებული სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები

- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სკოლის სასწავლო გეგმა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო-ცხრილების ანალიზისა და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის,

გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში კონკრეტული სავალდებულო თემის ფარგლებში გათვალისწინებულია კომპლექსური და/ან კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელება. საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ არის რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და პოზიტიურ დამოკიდებულებს უყალიბებს სწავლის მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლას აქვს პროექტების განხორციელების გამოცდილებაც, რომელთა თემატიკის შერჩევა ხდება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების უნარს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, იმავე მიზანს ემსახურება სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი აქტივობებიც. საშუალო საფეხურის პედაგოგთა უმრავლესობა იაზრებს, რომ მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების, აპლიკაციებისა და პროგრამების გამოყენება (ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემემი, რუკები, სურათები, ილუსტრაციები და სხვა) ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

საგნობრივი კათედრებს მიერ წარმოდგენილი შეფასებების რუბრიკები უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. ცალ- ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სანდოობას და ვალიდურობას. ასევე, სკოლა ახორციელებს შეფასების სისტემის ვალიდაციას. საშუალო საფეხურზე ასევე მნიშვნელოვანია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლის ამსახველი დოკუმენტები სკოლას ცალკეც აქვს წარმოდგენილი დაკომპლექსურ დავალებებშიც, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი შფასების კრიტერიუმები; პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს და ეფექტიანად იყენებენ შეფასების ინსტრუმენტები სასწავლო პროცესში.

ბუნებისმეტყველების პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ხშირად მოსწავლეებთან ერთად განიხილავენ თუ რა ინფორმაციაა მნიშვნელოვანი, რისი ცოდნაა აუცილებლი და შესაბამისად ამას იყენებენ განმავითარებელ შეფასებისას, უკუკავშირის დროს. მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ თუ რაში შეფასდებიან და როგორ. შეფასების სისტემა არის ვალიდური და აქვთ სტანდარტზე მორგებული შეფასების რუბრიკები. ეს კი ხელს უწყობს საშუალო საფეხურზე შეფასების ვალიდურობასა და გამჭვირვალობას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომლებშიც მოცემულია სტანდარტის სამიზნე ცნებები თავისი შედეგებით, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლემ დააკმაყოფილოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების მნიშვნელობა და ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა

ინდიკტორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით რეგულირდება შეფასების ის მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. ვალიდურობის უპირველეს ინსტრუმენტებად დასახელებულია სწავლა სწავლების შეფასების ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე და მათზე დაფუძნებით შეფასების რუბრიკების შემუშავება. სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებისთვის შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებსაც მასწავლებლები წინასწარ და აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს, შესაბამისად, მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას, წარმოადგენდეს მათი სწავლის პროცესის რეფლექსიას, არის მკაფიო და გაზომვადი, დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. საშუალო საფეხური შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებელთან გასაუბრების შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულები, რომ შეფასება მოხდება არამარტო ფიზიკური თვისებების განვითარებით, სპორტის სახეობების ტექნიკის დახვეწით, არამედ ქცევის წესების, უსაფრთხოების, თამაშის წესების და ა. შ. დაცვით. რაც შეფასების გამჭვირვალობაზე, სანდოობაზე, ვალიდურობასა და ობიექტურობაზე მიუთითებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. **„სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“.**

სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება - შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალებას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებლნი არიან აღმასრულებელი დირექტორი, შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელი და/ან შემმოწმებელი მასწავლებელი (ვერიფიკატორი) და საგნის მასწავლებელი. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ,, შპს „სკოლა ახალი თაობის“ შიდა შეფასების/შემოწმების (ვერიფიკაციის) წესი“, რომელშიც აღნიშნულია , რომ ვერიფიკაცია მოიცავს სამ ეტაპს: 1. შეფასების დაგეგმვა 2. შედეგების შეფასება 3. უკუკავშირის მიწოდება შემფასებლებისათვის. დოკუმენტში დანართების სახითაა წარმოდგენილი ცხრილები, რომლებიც თვალსაჩინოდ ასახავს შეფასების ვერიფიკაციასთან დაკავშირებულ პროცესებს.

როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, სისტემატურად მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და გამოცდილების გაზიარება.

ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშში, რომელშიც ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო მოსწავლეების შეფასება სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, ხოლო განხილვაში ჩართულმა მხარეებმა უნდა გამოავლინონ გასაუმჯობესებელი მიმართულებები და განსაზღვრონ პრობლემების აღმოფხვრის გზები.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების /ინფორმაციის /მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია,

სკოლამ ასევე წარმოადგინა მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც შეფასებულია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პორტფოლიოები
- სკოლის სასწავლო გეგმა
- კურიკულუმები
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები.
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო**

სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლის ყველა რგოლი ჩართულია სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვაში. მშობლებს სხვადასხვა აქტივობებში ჩართვის საშუალება აქვთ . სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად მსჯელობენ პრობლემების გადაჭრის გზებზე . საგნობრივ კათედრებთან ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, ისიც რომ სკოლას აქვს მშობელთა გაკვეთილებზე დასწრების პრაქტიკაც. კათედრის წევრი პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ და უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს, რაც გამოიხატება ურთიერთდასწრებასა და უკუკავშირის მიწოდებაში. სკოლა ახორციელებს ახლომდებარე ტერიტორიაზე ექსკურსიებს, მუზეუმებში ვიზიტებს და ა.შ. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასკოლო საზოგადოება ერთობლივად ზრუნავს სკოლის განვითარებაზე, სკოლაში თითოეული მოსწავლე აღიარებული და დაფასებულია და სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებაზე.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად**

სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობები - ფორმალური და არაფორმალური ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, დიაგნოსტიკური წერები, რაც ადასტურებს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას.

კათედრების წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ორიენტირება ხდება მოსწავლეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. შესასწავლი თემების, საკითხების თანმიმდევრობა ემსახურება ცოდნის ეტაპობრივად, მარტივიდან რთულისაკენ ზრდას. მოსწავლეთა შეფასებები მორგებულია გრძელვადიან მიზნებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. განმავითარებელი შეფასებები მოსწავლეებს მიეწოდებათ ისე, რომ ჩანდეს შესრულებული სამუშაოს დადებითი და გამოსასწორებელი მხარეები.

სასკოლო კურიკულუმის შესბამისად მიმდინარე სასწავლო პროცესის დროს შემხვედრ საჭიროებებზე სკოლა მოქნილად რომ რეაგირებს, ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სკოლის სასწავლო გეგმაში აღწერილი რემედიაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს პროგრამას დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმს , გარდა ამისა, ხელს უწყობს იმ მოსწავლეებსაც, როლებსაც სემესტრის განმავლობაში შეექმნათ სირთულეები კონკრეტულ საგანში კონკრეტული თემის/საკითხის/ შესწავლისას . რემედიაციის პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს იმ შემთხვევაში, თუ მათ არ აქვთ იმ საგნის წინმსწრები მასალა გავლილი, რომლის გავლაც უწევთ სკოლაში ჩარიცხვის შემთხვევაში. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლას დანერგილი აქვს შინ სწავლება მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართება.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ურთიერთთანამშრომლობის დადებითი ასპექტები. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, ხდება გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება, კათედრის წევრებს შორის უკუკავშირი. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა/კათედრები ქმნიან სასკოლო/საგნობრივ კურიკულუმებს, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართულია როგორც დირექცია, ასევე პედაგოგები და მშობლები. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია ჩართულ მხარეთა ფუნქცია-მოვალეობებიც. შესაძლებელია ითქვას, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება სასკოლო საზოგადოების წევრთა თანამშრომლობის

რეჟიმში ხდება, აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა კი გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე**

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის, სადაც შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. სასკოლო საზოგადოების წევრები პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატის ჩამოყალიბების მიზნით კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებიდან მიღებულ ინფორმაციას, ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პოზიტიური საკლასო გარემოს უმნიშვნელოვანესი ნაწილია მასწავლებელი, რომელიც პატივისცემასა და მზრუნველობას ამჟღავნებს მოსწავლეების მიმართ. მოსწავლისა და მასწავლებლის პოზიტიური ურთიერთობა კი დადებით გავლენას ახდენს კლასის მართვის პროცესზე, მოსწავლის მოტივაციაზე, ემოციურ სტაბილურობასა და მოსწრებაზე.

ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის ჩარჩოები;

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლის ისგ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლას შემუშავებული აქვს ,,კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მონიტორინგსა და შეფასებას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას , მიმდინარეობს თუ არა შემუშავებული გეგმის შესაბამისად პროცესები, ხოლო შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. დირექტორის მოადგილე აწარმოებს დაკვირვებას საგაკვეთილო პროცესზე, აანალიზებენ კათედრების სხდომების ოქმებს, მასწავლებელთა საჭიროებებს მათი თვითშეფასებისა და მოსწავლეთა თვითშეფასებების საფუძველზე. ამდენად, სკოლა მზადაა უპასუხოს დასმულ კითხვებს მის მიერ განსაზღვრული მონიტორინგის

სისტემით მონიტორინგი უნდა დაიგეგმოს და გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმაში. უნდა აღიწეროს რა ინსტრუმენტებით, რა ვადაში და ვინ განახორციელებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგს და როდის, რა პერიოდში და ვის მიერ მოხდება დანერგვის პროცესის შეფასება მოსწავლის, მშობლისა და სკოლის დონეზე .

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სასწავლო აქტივობების დაგეგმვა და ორგანიზება, პრობლემების გამოკვეთა სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი საკითხების განხილვა, სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელება. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემადგენელი აქტივობებია. ეს აქტივობები საშუალებას აძლევს კათედრებს, გააანალიზონ მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია და მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებები დაგეგმონ და განახორციელონ: შეიმუშაონ და განახორციელონ რემედიაციის პროგრამები, შეიმუშაონ მოსწავლეთა საჭიროების შესაბამისი ინდივიდუალური თუ ჯგუფური დამატებითი მეცადინეობის გეგმები და სხვა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას და, ასევე, მოტივაციის ამაღლებას. საშუალო საფეხურის კათედრის ანგარიშიდან ჩანს, რომ ჩატარებული შემაჯამებელი წერის შედეგებით გამოიკვეთა ტესტის პირობის გააზრებაში გამოწვევები იმ მოსწავლეებში, ვინც ქართულ ენას კარგად ვერ ფლობს. მიღებული შედეგების გაანალიზებით სკოლის საშუალო საფეხურის კათედრამ შეიმუშავა დამატებითი გაკვეთილების გეგმა და სხვა დამატებითი აქტივობები. გარდა მოსწავლეთა მხარდაჭერისა და დახმარებისა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მხარდამჭერი მექანიზმი, კერძოდ, კვლევების საფუძველზე ხდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შიდა თუ გარე მექანიზმების დახმარებით, რომელიც ამტკიცებს , რომ სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა სკოლისათვის პრიორიტეტულია.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;

სკოლას კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს კურიკულუმის მონიტორინგი და რევიზია, რაც პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს, შეგროვილ მონაცემებს აანალიზებენ კათედრის სხდომებზე, პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას, ახდენენ რესურსების ვალიდაციას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. სასწავლო პროცესის დროს წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებას სკოლა პრიორიტეტულ საკითხად თვლის. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემათა გადაჭრის გზას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ გაკვეთილებზე დასწრება, დაკვირვება და მიღებული უკუკავშირი ეხმარება მათ , შეიმუშაონ წარმოქმნილი სირთულეების დაძლევის საშუალებები. სკოლა ცდილობს დახვეწოს და განავითაროს კურიკულუმები და შეფასების ინსტრუმენტები სუსტი მხარეების გამოვლენით და მათი გაუმჯობესებით. საშუალო საფეხურის მასწავლებლები კარგად იაზრებენ ამის აუცილებლობას და პროცესის მხარდასაჭერად გამოთქვამენ მზაობას. მათ მტკიცებულებად აქვთ წარმოდგენილი თვითრეფლექსიები, კომპლექსური დავალებები ანალიზი და შემაჯამებელი დავალებები, სკოლაში დანერგილია ურთიერთდასწრება და თვითშეფასება, ასევე, აქვთ ,,დაკვირვების ფურცლები“.

ინდიკატორი 2. 3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერფიკაციის დოკუმენტი
- კათედრის ოქმი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- გაკვეთილზე დასწრების ფორმები
- რემედიაციის პროგრამა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ პროცესების, მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესის შეფასება საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის პროცესშიც და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისასაც ხორციელდება. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია . ამის მაგალითებია: სოლო ტაქსონომიაზე დაფუძნებული ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკა, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, შეჯამების ჩარჩო, მოსწავლეთა თვითშეფასების ბარათები და ა.შ.

ინდიკატორი 2.3.2.1 . დაკმაყოფილებულია

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის სამოქმედო გეგმიდან და სასკოლო სასწავლო კურიკულუმიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ კომპლექსური დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს უმაღლებს მოტივაციას და პირობისეული ცოდნის შეძენას უწყობს ხელს. განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში კი ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები,შეფასების რუბრკები, გათვალისწინებულია შესაბამისი კონტექსტები, რათა კარგად წარმოჩნდეს მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესები და შესაძლებლობები. ასევე, ჰოლისტური შეფასების მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ სოლო ტაქსონომიაზე დაფუძნებული რუბრიკა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთება , რომ განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ საკამაოდ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, როგორებიცაა: რეზიუმე, ერთწუთიანი ესე, სამწუთიანი პაუზა, ანალოგიები და ა. შ.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლა აქტიურად იყენებს არაფორმალური განათლების აქტივობებს, საიდანაც ხდება მოსწავლეების სწავლის შესახებ მონაცემების შეგროვება; ასევე, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალფეროვან მეთოდებზე დაყრდნობით. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სკოლა გეგმავს, ყველა კლასში, მეორედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, ჩაატაროს მოსწავლეთა დიაგნოსტირება, რაც კათედრის წევრებთან ინტერვიურების დროსაც დადასტურდა. საშუალო საფეხურის მასწავლებლებს ჩატარებული აქვთ საჭიროებათა კვლევები მონაცემთა შეგროვების მიზნით. გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის ყველაზე ტიპური და გამოყენებადი საგანმანათლებლო სფეროში : მშობელთა გამოკითხვა, ინტერვიუ, ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფი. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ამ მიმართულებით საკმაოდ ეფექტიანად მუშაობენ , რაც ეხმარებათ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. შესაბამისად,

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები

შეფასების რუბრიკები

- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- პროექტის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, რომელშიც გაწერილია ვადები განვითარების ეტაპების შესაბამისად. პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, როგორ უნდა განხორციელდეს პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების აუცილებლობა, ვერიფიკაცია, გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობები და გამოთქვამენ მზაობას, ხელი შეუწყონ აღნიშნული მექანიზმის განხორციელების პროცესს.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი შეფასების ჯგუფის ფუნქციები, რაც ითვალისწინებს კვლევებს, მონიტორინგს და შეფასებას, რომელთა შედეგებიც სკოლას საშუალებას აძლევს შეიტანოს გარკვეული ცვლილებები მომდევნო წლის კურიკულუმებში. რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ამიტომ ეს ფაქტორი შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება, მათ შორის კომპლექსური დავალებების მორგება კლასზე, შესაბამისი რესურსების მოძიება, ძველის ახლით ჩანაცვლება და სხვა. საშუალო საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე ცოდნასა და მათსავე წარმატებულ გამოცდილებას, აგრეთვე, მიღწეულ საუკეთესო შედეგებს. ამ მიზნით პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ ,,კრიტიკული მეგობრის“ დასწრებას, ითვალისწინებენ მის უკუკავშირს. ასევე, ერთად აანალიზებენ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებს, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისთვის კი მათ უგზავნიან გამოკითხვის ფორმას, კვლევის შედეგები ეხმარება კურიკულუმის ახალი ვერსიის დამუშავებაში . (კვლევის შედეგები თვალსაჩინოდ აქვთ წარმოდგენილი დიაგრამებში დოკუმენტში ,,მშობელთა კმაყოფილების კითხვარი“)

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- მშობელთა კმაყოფილების კითხვარი
- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 17.04.2024წ.
დასკვნა: 172 (ასსამოცდათორმეტი) გვერდი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: